# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 მაისი 2004 №101 (2120) ფასი 50 თეთრი


# არისტოკრატებს ჩუქჩური ირმის რქები დაადგეს

## დეშანმა და მაურინიუმ მილიონერებს ოჩრად ფული გაუოხრეს



REUTERS ფოტოები

ჩელსი — მონაკო 2:2. მონაკოელი უგო იბარას პირველი, „ჩელსის“ გამტეხი გოლი





REUTERS ფოტოები

დიდიე დეშანი და ჟოზე მაურინიუ: მართლა ახლები ახალ სიტყვას ამბობენ

## 26 მაისი ფინალი

ჩემპიონთა ლიგა: პორტუ — მონაკო

საქართველოს თასი: დინამო — ტორპედო

არ გაგეცინოთ, კალენდარია დამთხვეული






# ჩემპიონთა ლიგა

## 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. გუშინ

ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) 2:2 მონაკო (საფრანგეთი) (1:3)

1:0 გრონკიაერი (22), 2:0 ლამპარდი (45), 2:1 იბარა (45), 2:2 მორიენტესი (60)

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი (ჯონსონი 64), გალასი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, ლამპარდი, ჯერემი (პარკერი 69), კოული, ჰასელბაინკი (კრესპო 69), გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

მონაკო: რომა, გივე, როდრიგესი, სკილაჩი (პლასილი 46), ევრა, იბარა, ბერნარდი, სისე, როტენი, ჟიული (პრსო 67), მორიენტესი (ნონდა 81)

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

გაფრთხილება: ევრა (40), გრონკიაერი (45), ბერნარდი (48), როტენი (55), კოული (65), ჯონსონი (82)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

37 132 მაყურებელი

ფინალი. 26 მაისი. გელზენკირხენი

**პორტუ — მონაკო**



ფერნანდო მორიენტესმა ამ დარტყმით ის გოლი გაიტანა, „მონაკოს" ფინალში გასვლა რომ გაუნაღდა



არცთუ დიდი ხნის წინ ეიდურ გუდიონსენი და „მონაკოს" მწვრთნელი დიდიე დეშანი თანაგუნდელები იყვნენ

# აუფ ფინალი! დეშანმა აბრამოვიჩის ჩელსი დაახურდავა

26 მაისს გელზენკირხენის „აუფ შალკეზე" ნიჭიერი, ახალი თაობის მწვრთნელების, ჟოზე მაურინიუსა და დიდიე დეშანის კოხტა გუნდები ჩემპიონთა თასისთვის შეეხლებიან.

„მონაკომ" წუხელ „სტემფორდ ბრიჯზე" დაამტკიცა, რომ ფინალში თამაში ღირსია. სტუმრებს პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდათ ცეცხლოვანი „ჩელსის" წინააღმდეგ, რადგან „არისტოკრატებმა" ჯიგრიანად გააგორეს ბურთი და ფლავიო რომას ცხრაპირი ოფლი ადინეს. იესპერ გრონკიაერმა ისეთი გოლი გაუტანა „მონაკოს", რომ ნებისმიერ გურმანს დააპურებდა. სამაგიეროდ, რომამ ლამპარდის დარტყმა სასწაულებრივ მოიგერია, ხოლო ჯო კოულმა და ეიდურ გუდიონსენმა ასპროცენტიანი მომენტები გააფუჭეს.

გუდიონსენმა შეცდომა მოგვიანებით გამოასწორა, როცა ბურთთან ერთი შეხებით ლამპარდი სტუმარ მეკარეს პირისპირ შეატოვა და ქომაგთა ჯილამ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

2:0-ზე „ჩელსის" გულშემატკივრებს „აუფ შალკეზე" ბილეთების შეკვეთა შეეძლოთ, მაგრამ „მონაკოს" ჰყავს ფერნანდო მორენტესი, რომელიც თავს წკეპლასავით იქნევს. შეხვედრის დასაწყისში დაჩრდილული ჟერომ როტენი, ტაიმის ბოლოს გალვივდა. სწორედ მის პასს მოჰყვა „ელ მოროს" თავური დარტყმა და ძელთან ჩაშვებულ ბურთი უგო იბარამ მკერდით კარში შეაგდო.

ეს მოხდა ტაიმის ბოლოს წინა წუთზე და „მონაკოს" დროული გოლი დოპინგივით დაეხმარა. შესვენების შემდეგ „ჩელსი" თითქოს შეცვალეს. გუნდს ნაპერწკალი ჩაუქრა. კლაუდიო რანიერიმ შეცვლაზე ჯერ გლენ ჯონსონი შეუშვა, მაგრამ მანაც ვერ შეძლო მარცხენა ფლანგზე თვალებანთებული როტენის განელება.

რანიერიმ ამის შემდეგლა შეაშველა გუნდს ერნან კრესპო და სკოტ პარკერი, თუმც შეტევაზე „ჩელსის" მონაკოელები სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. მასპინძლებს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ რომ ვერ გაიტანეს, ეს უკვე მწვრთნელის ბრალი არაა, რომელმაც მატჩამდე თქვა, მომბეზრდა ეს დაუსრულებელი ჭორაობა, სეზონის ბოლოს მივდივარო. ასე დასრულდა რომან აბრამოვიჩისეული „ჩელსის" პირველი ევროსეზონი. ვინ შეცვლის იტალიელს? ეგებ ჟოზე მაურინიუ? ჩემპიონთა ლიგის მეორე ფინალისტის, „პორტუს" მწვრთნელი „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნაზე იჯდა და მომავალ მეტოქეს ზვერავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | |
|---|---|
| **შოტლანდია** | **ავსტრია** |
| პრემიერლიგა | მაქსბუნდესლიგა |
| გადადებული მატჩი | გადადებული მატჩი |
| ჰიბერნიანი 1:2 პარტიკი | რაპიდი 3:2 კერნტენი |
| **დანია** | მემფისის თასი. 1/2 ფინალი |
| I დივიზიონი | შტურმი 1:1 (4:5პენ) აუსტრია |
| გადადებული მატჩი | **სლოვენია** |
| იოლსტიკე 1:2 ნორდიულანდი | სი მობილ ლიგა |
| თასის 1/2 ფინალი | გადადებული მატჩი |
| საპასუხო მატჩები | დრავოგრადი 1:4 პრიმორიე |
| ოლბორგი 2:1 ბრონდბიუ | **თურქეთი** |
| ოდენსე 2:4 კოპენჰაგენი | თასის ფინალი |
| **შვეიცარია** | ტრაბზონი 4:0 გენჩლერი |
| ჩელენჯლიგა | **ხორვატია** |
| გადადებული მატჩები | თასის ფინალი. I მატჩი |
| კრინსი 1:3 შაფჰაუზენი | ვარტეძსი 1:1 დინამო |
| სიონი 1:0 ანიო | **რუსეთი** |
| ივერდონი 2:0 ვოლენი | თასის 1/4 ფინალი. I მატჩები |
| **უნგრეთი** | ტერეკი 0:0 შინიკი |
| თასის ფინალი | |
| ფერენცვაროში 3:1 ჰონვედი | ტ. მეტალურგი 1:1 კრილია |


**ფეხბურთი**

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

**პირველი ლიგა**

**6 მაისი**

ოცდამეექვსე ტური

**ამერი — ოლიმპი**

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 18 საათზე. დასწრება უფასოა


# კაპიტანი საოპერაციოა
## ნემსაძე უცხოეთში მიდის



გიორგი ნემსაძე ნატკენმა მუხლმა საოპერაციო გახადა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" კაპიტანი გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია და არც გუშინ უთამაშია „დილასთან". ნემსაძეს შევეხმიანეთ და შევიტყვეთ, რომ ის საოპერაციოა.

— მარცხენა მუხლი მაწუხებს. მენისკის ტრავმა შოტლანდიაში თამაშისას მივიღე. საქართველოში ჩამოსულს კი უხარისხო მინდვრებმა გამირთულა და მუხლიც ამტკივდა. თუ ბოლო ტურამდე ვიბრძოლებთ ჩემპიონობისთვის, ოპერაციას ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გავიკეთებ. საოპერაციოდ უცხოეთში ვაპირებ წასვლას, რადგან იქ სარეაბილიტაციო პერიოდსაც კარგად გავატარებ. რაც შეეხება ჩემპიონატის მომდევნო ტურს, კვირას „თბილისთან" ვერ ვითამაშებ, მერე კი ალბათ შევძლებ მოედანზე გასვლას — გვითხრა ნემსაძემ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

# პორტუს შო-ზეთზე

**დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) 0:1 *პორტუ (პორტუგალია)* (0:0)**
0:1 დერლეი სილვა (60პ)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, ნაიბეტი, რომერო, სერხიო (ტრისტანი 67), დუშერი, ვიქტორი (სკალონი 55), ვალერონი, ლუკე (ფრანი 72), პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში (ბოსინგვა 88), კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, დერლეი სილვა (მაკკარტი 90), კარლოს ალბერტო (პედრუ ემანუელი 68)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ნაიბეტი (11), კარლოს ალბერტო (34), ნაიბეტი (70), მენდეში (80), ტრისტანი (90)
გაძევება: ნაიბეტი (70)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
34 000 მაყურებელი

*ხავიერ ირურეტამ ისეთივე ფეხბურთით სცადა ფონს გასვლა, როგორიც „დეპორტივომ" პორტუში აჩვენა. მაშინ ამ ტაქტიკამ მას უგოლო ფრე მოუტანა. გალისიური გუნდის მწვრთნელმა შინაც ვერ გარისკა ორი თავდამსხმელით თამაში, რადგან თავადვე ამბობდა, რომ „პორტუ" კონტრშეტევებზე სახიფათოაო. „დეპორტივო" ორივე მატჩში თითქოს შებოჭილი იყო. უცნაურია, რომ ეს დაემართა „მილანის" ლაღად მძლეველ გუნდს. ირურეტამ რატომღაც უარყო შეტევა, არადა, ამ გაზაფხულზე „მონაკომ" „რეალთან", „ჩელსიმ" კი „არსენალთან" სწორედ რისკისა და შეტევის ხარჯზე იმარჯვეს.*

*ჟოზე მაურინიუს „პორტუზე" შეიძლება ითქვას, რომ გუნდი ნიჭიერი მწვრთნელის ხელში ევროგრანდად იქცა. შედეგად „პორტუმ" შარშან უეფას თასი მოიგო, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია. მაურინიუს შეგირდები შესაშური დისციპლინით, სიმშვიდით და განსწავლულობით გამოირჩევიან, ზოგიერთ მათგანს კი მეტოქისთვის ყბაში იდაყვის მალულად მირტყმაც კარგად გამოსდის.*

*ქვემოთ „დეპორტივოსა" და „პორტუს" მწვრთნელ-ფეხბურთელთა მატჩისშემდგომ კომენტარებს გთავაზობთ.*


დერლეის საფინალო პენალტი

## ხავიერ ირურეტა




მოგება თითქმის შეუძლებელი იყო. მაურო სილვა და ჟორჟე ანდრადე პორტუში მიღებული ყვითელ-წითელი ბარათების გამო გამოგვაკლდნენ, „რიასორზე" კი ნაიბეტი გააძევეს... პორტუგალიელები უკეთესები გამოდგნენ — უნდა ვაღიაროთ მაურინიუს ფეხბურთელთა სიძლიერე. ამჟამად არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ „პორტუს" ფინალში გასვლა მივულოცოთ და ჩემპიონთა თასის მოგება ვუსურვოთ. მიუხედავად მძიმე სიტუაციისა, იმედი მქონდა, მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული დეპორელები ბაიას გოლს შეუგდებდნენ, თუმც კოლინას პენალტმა და ნაიბეტის გაძევებამ „რიასორის" ოცნება ქარს გაატანა.

## ჟოზე მაურინიუ



ლაკორუნიელთა ქომაგები მომეწონა. არასოდეს მინახავს, ხალხი თავის გუნდს ასე მხურვალედ უჭერდეს მხარს. მესმის მათი მწუხარება და „დეპორის" წაგებას თითქმის გალისიელივით განვიცდი. ვისურვებდი, ჩვენი გუშინდელი მეტოქე მომავალ ლიგაშიც გასულიყოს ნახევარფინალში და ეს რთული ბარიერი წარმატებით გადაელახოს. „პორტუმ" პირველი წუთიდან ბოლომდე ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა. მასპინძლებს თამაშის ბევრ ასპექტში ვაჯობეთ. ამ გამარჯვებისთვის ქება-დიდებას არ ვითხოვ, უბრალოდ, მინდა, ღირსეული მოგებით გუნდთან ერთად გავიხარო... ჩემი სურვილია, „პორტუმ" მომავალშიც მსგავსი წარმატებები იზეიმოს და არა აქვს მნიშვნელობა, ამ კლუბში ჟოზე მაურინიუ იქნება თუ არა... პირადად მე „პორტუს" ტრიუმფით აღფრთოვანებული ვარ. მთელმა მსოფლიომ დაინახა, როგორი მწვრთნელი ვარ.

## ნურედინ ნაიბეტი

ჩემი აზრით, არც ისე აგრესიული იყო ჩემი თამაში, კოლინას ორი ყვითელი რომ ეჩვენებინა. გაძევებას არ ვიმსახურებდი, თუმც არბიტრზე ჩივილს არ ვაპირებ — მსაჯი შეხვედრის ბატონ-პატრონია და ფეხბურთელები მის გადაწყვეტილებებს ვემორჩილებით. მინდა, „დეპორტივოს" გულშემატკივარს ქომაგობისთვის მადლობა ვუთხრა. ორივე მატჩში „პორტუ" ბურთთან ჩვენზე მეტად იყო გაშინაურებული. საამსეზონო ლიგის მოგების საუკეთესო შანსი დავკარგეთ.

## დერლეი

დაუვიწყარი თამაში იყო, ყველაზე საუკეთესო, რაც კარიერაში მქონია. მოლინას კარში გატანილ პენალტს „პორტუს" ექიმებს ვუძღვნი. 22 დეკემბრის მერე პირველად შევძელი გოლის გატანა, რაც მნიშვნელოვანწილად გუნდის ექიმების დამსახურებაა. ყველა ჩვენს ქომაგს ვულოცავ უდიდეს გამარჯვებას — გულშემატკივრებმაც და კლუბმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა სამართლიანი ბრძოლით მოიპოვეს. ახლა გერმანიაში გასამართ შეხვედრაზე ვიფიქრებთ. თითოეულ ფეხბურთელისთვის ფინალში მონაწილეობა ფანტასტიკური რამაა და ჩვენც ვეცდებით, შანსი ასი პროცენტით გამოვიყენოთ.


ხუან კარლოს ვალერონი

## ფრანი

ძალიან ცუდად დამთავრდა ყველაფერი. გასვლით შეხვედრაში ურიგოდ არ გვითამაშია, უგოლო ფრეც თითქოს ჩვენ გვაძლევდა უპირატესობას, თუმცა „რიასორზე" მეტოქის დაჯაბნა ვერ შევძელით. „იუვენტუსისა" და „მილანის" დამარცხების მერე ინჩასები ეიფორიაში იყვნენ. მათი აზრით, „დეპორს" „პორტუსთვის" ადვილად უნდა აევლო გვერდი, თუმცა რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიხილეთ. სტუმართა გუნდი უკიდურესად ფრთხილად მოქმედებდა, ჩვენი სუსტი მხარეები გამოიყენეს, თავად რისკზე არ წასულან და მოგვიგეს კიდეც. პენალტზე სათქმელი არაფერი მაქვს გარდა იმისა, რომ იმ ეპიზოდს ყოველთვის მძიმედ გავიხსენებ.

## ჟორჟე კოშტა

ორივე გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა. ძალიან ცუდია, „დეპორტივო" და „პორტუ" ფინალში რომ არ შეხვდნენ. შესანიშნავი იქნებოდა დაძმობილებული ქალაქების — ლაკორუნიისა და პორტუს კლუბების შერკინება ფინალში გვეხილა. სულერთია, მეორე ნახევარფინალური წყვილიდან გერმანიაში ვინ დაგვიპირისპირდება, „მონაკო" თუ „ჩელსი". როგორც ყოველთვის, „შალკეს" სტადიონზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

## ხუან ვალერონი

სამწუხაროდ, პორტუგალიელებთან წავაგეთ, მაგრამ თუ მომავალ წელსაც ასე კარგად ვითამაშებთ, ნახევარფინალს კვლავაც მივაღწევთ. ლიგასთან გამომშვიდობება ძალიან საწყენია, თუმც რა გაეწყობა... მეტოქემ ყველა ჩვენი შეტევა მოიგერია. ფლანგებზეც და ცენტრშიც „პორტუ" „დეპორზე" უკეთესად გამოიყურებოდა. საფრთხილო მატჩი იყო, ყველაფერი ერთ, საბედისწერო ეპიზოდს უნდა გადაეწყვიტა. ასეც მოხდა, მეორე ტაიმში ჩვენს კარში დანიშნულ პენალტს ვგულისხმობ. მერე მოედანზე უმცირესობაში დავრჩით, ამან კი ანგარიშის გათანაბრებისა და მოგების შანსები ერთიორად შეგვიმცირა.



პედრო ემანუელი და ჟორჟე კოშტა

# ძველი რეკორდების დასამხობად

## არსენალმა წაგება იუკადრისა



ანტონიო რეიესის საგოლე დარტყმა

### ინგლისი

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**პორტსმუთი 1:1 არსენალი**

1:0 აიეგბენი (30), 1:1 რეიესი (50)

**პორტსმუთი:** ჰისლოპი, კერტისი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, სტოუნი, ქვოში, ფეიე, ბ. ჰიუზი, ლუა ლუა, აიეგბენი (მორნარი 80)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**არსენალი:** ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ალიადირი 90), ვიეირა, პარლოუ, ბენტლი (კანუ 61), ანრი, რეიესი (კიოუნი 90)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კემპბელი, პარლოუ

მსაჯი: რაილი

20 140 მაყურებელი

„არსენალი" უკვე გახდა ინგლისის ჩემპიონი, მაგრამ საბრძოლი კვლავ დარჩა.

სამშაბათს არსენ ვენგერის გუნდმა 1:1 დაასრულა თამაში „პორტსმუთთან" და განაგრძო თავისი წაუგებელი რეკორდი. ჩემპიონებს ორი თამაში დარჩათ, შინ „ფულემთან" და სტუმრად უკვე გავარდნილ „ლესტერთან" და თავისუფლად შეუძლიათ, რომ მთელი სეზონი წაუგებლად დაასრულონ.

ეს იქნება ძალიან ძველი, 1988-89 წლების რეკორდის გამეორება, როცა „პრესტონ ნორს ენდმა" ისე გალია ჩემპიონატი, რომ ერთხელაც არ წაუგია, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაშინდელი სეზონი მხოლოდ 22 თამაშისგან შედგებოდა.

თუ „არსენალი" ამ რეკორდს დაამყარებს, სხვა რეკორდის დამხობისკენაც გაიხედავს. „ნოტინგემ ფორესტმა" 1977 წლიდან მოყოლებული ზედიზედ 42 თამაში არ წააგო.

„პორტსმუთთან" მატჩს რომ დავუბრუნდეთ, „არსენალს" თავი დიდად არ მოუკლავს. პირველ წრეში „ფრეტონ პარკზე" „მეთოფეებმა" 5:1 გაანადგურეს ზღვისპირელები, თუმცა ბოლო რამდენიმე კვირაა, „პორტსმუთი" საუცხოოდ თამაშობს და სწორედ ამით დაიხსნა თავი პირველ დივიზიონში გავარდნისგან.

„პორტსმუთის" გოლი კურიოზულიც კი იყო. ბურთი ზურგში მოხვდა „მეთოფეთა" მცველ კოლო ტურეს და იაკუბუ აიგბენიმ აღარ დაახანა. ამის მერე ხოსე ანტონიო რეიესმა ძელი დაუზანზარა შაკა ჰისლოპს, რომელმაც მალევე კარგი ბურთი აუღო ტიერი ანრის. მეკარემ მეორედაც იხსნა სტუმართა კარი, ტაიმის ბოლომდეც მშრალად მიაღწია, მაგრამ შესვენების შემდეგ რეიესმა კუთხეში ჩაუცურა დაბალი ბურთი.

საერთოდ, რეიესი ყველაზე აქტიური იყო და მეორე ტაიმის დასაწყისშიაც შეეძლო გატანა, ისევე როგორც იაკუბუს.

„არსენალის" ერთადერთი მოტივაცია, სწორედ არწაგება იყო და ვენგერმაც შეაქო თავისიანები, წაგებაც იუკადრისეს და კარგადაც ითამაშესო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 36 | 24 | 12 | 0 | 70:25 | 84 |
| ჩელსი | 36 | 23 | 6 | 7 | 65:28 | 75 |
| მანჩესტერი | 36 | 22 | 5 | 9 | 61:34 | 71 |
| ლივერპული | 36 | 15 | 11 | 10 | 51:36 | 56 |
| ასტონ ვილა | 36 | 15 | 10 | 11 | 47:41 | 55 |
| ნიუკასლი | 35 | 13 | 14 | 8 | 47:35 | 53 |
| ბოლტონი | 36 | 13 | 11 | 12 | 46:53 | 50 |
| ფულემი | 36 | 13 | 10 | 13 | 49:45 | 49 |
| ჩარლტონი | 36 | 13 | 10 | 13 | 46:47 | 49 |
| ბირმინგემი | 36 | 12 | 13 | 11 | 42:44 | 49 |
| საუთჰემპტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 39:39 | 45 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 9 | 15 | 41:46 | 45 |
| ბლეკბერნი | 36 | 12 | 7 | 17 | 50:57 | 43 |
| პორტსმუთი | 36 | 11 | 9 | 16 | 41:50 | 42 |
| ევერტონი | 36 | 9 | 12 | 15 | 43:50 | 39 |
| ტოტენჰემი | 36 | 11 | 6 | 19 | 44:57 | 39 |
| სიტი | 36 | 8 | 14 | 14 | 49:51 | 38 |
| ვულვზი | 36 | 7 | 11 | 18 | 37:74 | 32 |
| ლიდსი | 36 | 8 | 8 | 20 | 37:75 | 32 |
| ლესტერი | 36 | 5 | 15 | 16 | 44:62 | 30 |

**პირველი დივიზიონი**

**გადადებული მატჩები**

**სტოკი 4:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 რუსელი (45), 1:1 დობი (50), 2:1, 3:1 კლომსი (62, 73), 4:1 ნოელ-უილიამსი (86)

**სანდერლენდი 1:0 ნორვიჩი**

1:0 დ. რობინსონი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 45 | 27 | 10 | 8 | 76:38 | 91 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 25 | 11 | 9 | 64:40 | 86 |
| სანდერლენდი | 45 | 21 | 13 | 11 | 60:44 | 76 |
| ვესტ ჰემი | 45 | 19 | 16 | 10 | 66:44 | 73 |
| კრ. პალასი | 45 | 21 | 10 | 14 | 71:59 | 73 |
| იფსვიჩი | 45 | 21 | 9 | 15 | 83:71 | 72 |
| უიგანი | 45 | 18 | 16 | 11 | 59:44 | 70 |
| შეფილდი | 45 | 20 | 10 | 15 | 62:53 | 70 |
| რედინგი | 45 | 20 | 10 | 15 | 55:56 | 70 |
| მილუოლი | 45 | 17 | 15 | 13 | 54:48 | 66 |
| სტოკი | 45 | 18 | 11 | 16 | 58:55 | 65 |
| კარდიფი | 45 | 17 | 13 | 15 | 67:57 | 64 |
| ქოვენთრი | 45 | 16 | 14 | 15 | 65:53 | 62 |
| პრესტონი | 45 | 15 | 13 | 17 | 66:68 | 58 |
| ნოტინგემი | 45 | 14 | 15 | 16 | 59:58 | 57 |
| როტერჰემი | 45 | 13 | 15 | 17 | 51:58 | 54 |
| უოტფორდი | 45 | 14 | 12 | 19 | 53:68 | 54 |
| ქრიუ | 45 | 14 | 11 | 20 | 56:63 | 53 |
| ბარნლი | 45 | 13 | 14 | 18 | 59:75 | 53 |
| დერბი | 45 | 13 | 13 | 19 | 53:66 | 52 |
| ჯილინგემი | 45 | 14 | 8 | 23 | 48:67 | 50 |
| უოლსოლი | 45 | 12 | 12 | 21 | 42:63 | 48 |
| ბრედფორდი | 45 | 10 | 6 | 29 | 38:68 | 36 |
| უიმბლდონი | 45 | 7 | 5 | 33 | 40:89 | 26 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადონა შეაბრუნეს

**დიეგო მარადონა** კვლავ საავადმყოფოშია. გუშინ დილით არგენტინელი ბუენოს აირესის იმავე კლინიკაში გააქანეს, რომელშიც 12 დღე უკვე გაატარა. მისმა პირადმა ექიმმა თქვა, რომ საშიში არაფერია და მარადონას კიდევ ორ-სამდღიან გამოკვლევას ჩაუტარებენ.

დიდი არგენტინელი კლინიკაში 18 აპრილს მიიყვანეს და პნევმონია დაუდგინეს. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი რეანიმაციაში იყო, 29 აპრილს საავადმყოფო მოულოდნელად დატოვა და განაცხადა, რომ თავს უკეთ გრძნობს. ექიმთა გაფრთხილების მიუხედავად, ბუენოს აირესის გარეუბანში, თავის მეგობრის სახლში გაემგზავრა. იქ თურმე გოლფიც უთამაშია. თან ახლდნენ მეძდა და მცველები, ხოლო პირადი ექიმი ჯანმრთელობის მდგომარეობას აკონტროლებდა.

დიეგო მარადონა დღეს კუბაში გამგზავრებას აპირებდა, სადაც ბოლო რამდენიმე წელი გაატარა, სამშობლოში კი აპრილის დასაწყისში, ახლობლების სანახავად ჩავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ღია კარის თვე

## ტრაპი მალდინის ეძახის, მილანმა დორასო მიიღო



ჯოვანი ტრაპატონი



პაოლო მალდინი

*იტალიური დაცვის დიდოსტატმა პაოლო მალდინიმ კიდევ ერთხელ დატოვა კარი ღია: ცნობილია, რომ „სკუადრა აძურას" მწვრთნელს, ჯოვანი ტრაპატონის დიდი მილანელის ნაკრებში დაბრუნება და ევროპის ჩემპიონატზე წაყვანა სურს, რაზეც მალდინიმ ამ დღეებში ასე განაცხადა*

„უპირველეს ყოვლისა, თავად ტრაპატონის უნდა ვესაუბრო და პრესას მხოლოდ ამის შემდეგ შევხვდები — თქვა მალდინიმ სატელევიზიო პროგრამა „სტუდიო სპორტში" გამოსვლისას — მე და ტრაპატონი სეზონის ბოლოს დასხდომასა და ყველაფრის აწონ-დაწონვაზე ვართ შეთანხმებული. გარწმუნებთ, ეს შეხვედრა აუცილებლად შედგება".

შეგახსენებთ, რომ პაოლო მალდინი ნაკრებიდან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წავიდა, მაგრამ მის თამაშს 36 წლის მიუხედავად, დღემდე არ დაუკარგავს სიმძაფრე და ნაპერწკალი.

„პაოლო საგანგებო ფეხბურთელია" — ამბობს „სკუადრა აძურას" თავკაცი, რომელიც მზადაა, პორტუგალიაში წასაყვანთა სიაში პაოლო მალდინი ჩაწეროს და იქიდან „ინტერის მცველი ფაბიო კანავარო ამოშალოს.

მალდინი კი სანაკრებო ამბების მოგვარებამდე მისი კლუბის, „მილანის" დიდ წარმატებაზე, იტალიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაზე საუბრობს:

„ჩვენ გამარჯვებათა ახალი ციკლი წამოვიწყეთ, შევძელით წინა სეზონში მოპოვებულ ჩემპიონტთა თასისთვის წლევანდელი სკუდეტო მიგვემატებინა. ძალიან ბედნიერები ვართ, თუმცა არც იმას ვმალავთ, რომ ჩემპიონთა თასის მოგებამ უფრო დიდი სიხარული მოგვიტანა".

და აი, ასე ძალიან გახარებულ გუნდს ახალი მოთამაშე ჰყავს, ფრანგული „ლიონის" ვარსკვლავი, არცთუ ახალგაზრდა, 31 წლის ვიკაშ დორასო.



ვიკაშ დორასო მილანელია

თუ გახსოვთ, დორასოსა და „მილანის" მოლაპარაკებებსა და გარიგებაზე „სარბიელი" უკვე წერდა, თუმცა თუ ამ ამბავზე თავიდან, როგორც გადაწყვეტილზე ისე ლაპარაკობდნენ, შემდეგ დაირხა ხმები, რომ „შვ-წითლებს" დორასო არაფრად სჭირდებათო. მაგრამ როგორც ირკვევა, დორასოს და „მილანს" ხელშეკრულება უკვე გაუფორმებიათ.

ვიკაშ დორასო, რომელმაც საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში 27 შეხვედრაში ითამაშა და მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა, „მილანში" ორ წელიწადს დაჰყოფს. მისი სატრანსფერო ფასი არ არსებობს, რადგან „ლიონთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და თავისუფალი აგენტის სტატუსითაა. როგორც ამბობენ, „სან სიროზე" დორასოს გამოჩენა ავტომატურად ნიშნავს იქიდან არგენტინელი ვეტერანის, ფერნანდო რედონდოს აბარგებას.

**ბაკუნა ძედია**

## უეფას თასი. 2003-04. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

### მარსელი — ნიუკასლი

# თქვენ ხართ ჯორდები!
## ითამაშეთ ბობი რობსონისთვის

„ნიუკასლის" თავმჯდომარე ფრედი შეპერდმა გუნდი საფრანგეთში წასვლამდე ასე დამოძღვრა: „გამარჯვებაზე თუ იფიქრებთ, ყოველთვის წარმატებას მიაღწევთ, „ჯორდებს" ხომ გამარჯვება სისხლში აქვთ. ახლა ბობი რობსონისთვის უნდა იბრძოლოთ. ფინალამდე ერთი ნაბიჯია და ყველაფერი თქვენს ხელთაა".

ბობი რობსონი: „ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ არ გვეშინია, დასაკარგი არაფერი გვაქვს. ვიცით, რომ გოლის გატანა გვჭირდება, საამისოდ კი უფრო უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე პირველ მატჩში. უცხო კლუბები გამიყვანია ევროთასების ფინალში, ინგლისი კი — მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, მაგრამა „ნიუკასლთან" ერთად უეფას თასის მოგებას ჩემთვის განსაკუთრებული გემო ექნება. მე ხომ ნიუკასლელი ვარ და ამიტომ ძალიან მსურს ამ გუნდით ფინალში თამაში და თასის აღება".

სტუმრებს ოთხი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული. ალან შირერს შეტევაში კვლავ შოლა ამეობი შეუწყვილდება, რადგან კრეიგ ბელამი ჯერ ვერ გამოკეთდა. ჯონათან ვუდგეიტი, ჯერმენ ჯენასი და კირონ დაიერიც დაშავებულნი არიან.

„თანახმა ვარ, პრემიერლიგა თუნდაც მე-17 ადგილზე დავასრულოთ, ოღონდ უეფას თასი ავიღოთ. ამბობენ, რომ ჩემპიონთა ლიგას დიდძალი ფული მოაქვს, მაგრამ ვფიქრობ, უეფას თასის მოგებით კლუბი არანაკლებ შემოსავალს მიიღებს. „მარსელის" დამარცხება შეუძლებელი არ არის. ფრანგები ალბათ თავიდანვე შემოგვიტევენ, ჩვენ კი კონტრშეტევაზე თამაშის საშუალება გვექნება, რაც „ნიუკასლის" კოზირია"—თქვა კირონ დაიერმა.



ბობი რობსონი



ჰაბიბ ბეიე და ალან შირერი ერთმანეთს არც დღეს დაინდობენ

დაახლოებით 3 000 ინგლისელ ფანს მარსელში 700-მდე პოლიციელი უპატრონებს. „ველოდრომი" დიდი ფეხბურთს ელის, ჟოზე ანიგომ კი თქვა, რომ ისევე გრძნობს თავს, როგორც „ლივერპულისა" და „ინტერის" დამარცხების წინ.

„გუნდში ყველაფერი კარგადაა. მერვედფინალში და მეოთხედფინალშიც ფავორიტებად არავინ გვთვლიდა, მაგრამ ორი ძლიერი მეტოქე დავიფრინეთ. ბიჭები საბრძოლველად მზად არიან და მჯერა, რომ მარსელში დღეს დიდი ზეიმი იქნება".

შესაძლოა, მასპინძლებს ტრავმამოშუშებული სტივ მარლე დაუბრუნდეთ, რაც დიდიე დროგბას ძილიან უხარია, რადგან: „სტივი გუნდს ძალიან აკლდა და ეს ნიუკასლშიც გამოჩნდა. შეტევაში მასთან ერთად თამაში გაცილებით მიადვილდება".

„მარსელს" ბრაჰიმ ჰედმანი და ეგვიპტელი ფორვარდი მიდო დააკლდება.

### ვალენსია — ვილიარეალი

# ბენიტესმა ვალენსიას პრიმერა გამოშრთო

**ესპანური** დერბის მეორე რაუნდს „მესტალია" უმასპინძლებს. „ვალენსიამ" ჩემპიონატში „რეალი" ჩამოიტოვა, დღეს კი უეფას თასის ფინალში გასვლას ლამობს.

მასპინძელთა მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი თავის შეგირდებს მოუწოდებს, რომ დროებით პრიმერადივიზიონის ცხრილი დაივიწყონ და „ვილიარეალზე" იფიქრონ: „სრული მობილიზება გვჭირდება, რადგან ფინალი ძალიან ახლოსაა და შანსის ხელიდან გაშვება არ გვეპატიება".

„ვალენსიას" მარცხენა მცველი ამადეო კარბონი დისკვალიფიცირებულია, მიგელ ანხელ ანგულოს თამაში საეჭვოა, რუფეტე კი ტრავმირებულია და გუნდს ვერ დაეხმარება.

მესტალიელები პაბლო აიმარის გამოჯანმრთელებით ხარობენ, რომელიც გასულ უქმეებზე ორკვირიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა და „ბეტისს" გოლიც გაუტანა.

„ვილიარეალის" წინააღმდეგ მატჩებში საკმაოდ წარმატებულად ვთამაშობ და ვიმედოვნებ, რომ დღეს გოლაც გავიტან" — განაცხადა არგენტინელმა. პაბლო აიმარს შეტევაში, სავარაუდოდ, მისტა შეუწყვილდება, ხოლო მარჯვენა ფლანგს ვისენტე ჩაიბარებს. „პრიმერადივიზიონის მოგებაც მსურს და უეფას თასისაც. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ორივე ჯილდოსთან" — თქვა ვისენტემ.

„ვილიარეალმა" ნახევარფინალამდე ბევრი ძლიერი მეტოქე დაამარცხა და იოლი გასეირნება არ გველის. უეფას თასს ჩემპიონთა ლიგის მოგება სჯობს, მაგრამ წლეულს ჩვენი მიზანი ეს არის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის მოსაპოვებლად" — დასძინა სანტიაგო კანისარესმა.

სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ. მათ ტრავმამოშუშებული ბელეტი და სასჯელმოხდილი არუაბარენა დაუბრუნდათ.

„ვიცით, რომ „მესტალიაზე" „ვალენსია" ფავორიტად ითვლება, მაგრამ კარგად ნაცნობ გუნდს ვეთამაშებით და ამიტომ შანსებიც თანაბარია" — აღნიშნა „ვილიარეალის" ნახევარმცველმა ანტონიო გიარემ.

„ყველაფერი კარგად აეწყო და გვსურს, რომ სეზონი ფინალში გასვლით დავაგვირგვინოთ — თქვა ხუან რომან რიკელმემ — დარწმუნებული ვარ, „მესტალიაზე" ორივე გუნდი დიდი სიფრთხილით ითამაშებს და ერთმა შეცდომამ შეიძლება მატჩის ბედი გადაწყვიტოს".

სონი ანდერსონი: „ფინალში გასვლას ნაღდად ვიმსახურებთ და თუ მოვინდომებთ, „ვალენსიას" ძლევასაც შევძლებთ, მიუხედავად იმისა, რომ ვხვდებით გუნდს, რომელსაც ესპანეთში საუკეთესო დაცვა ჰყავს".



რაფაელ ბენიტესი

**ვაჟა ხუციშვილი**

# ხელი იყო!
## მიხაილოვიჩმა რომას სიტყვა შეაწია

*არ მჯერა, რომ მსაჯები სამართლიანად სჯიან. საკმარისია გაიხსენოთ მიმდინარე სეზონში რა ხდებოდა ჩვენსა და „პერუჯას" თავს და ჩემი სიტყვების სისწორეში დარწმუნდებით. აქ აღარ ვამბობ იმას, რაც „რომას" გაუკეთეს — აი, რა განაცხადა „ლაციოს" სერბმა ვარსკვლავმა სინიშა მიხაილოვიჩმა.*

ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი განაწყენებული უნდა იყოს „ლაციოს" წევრი, „რომას" მხარდასაჭერად რომ წამოიწყოს ლაპარაკი.

„ანდრეი შევჩენკო ხელით თამაშის გამო პენალტით როგორ არ დასაჯეს, გაუგებარია. იმ ეპიზოდში თერთმეტრიანის არდანიშვნა უბრალოდ წარმოუდგენელი იყო — თქვა მიხაილოვიჩმა კვირას, „სან სიროზე" გამართული „მილან" — „რომას" მატჩის სკანდალური ეპიზოდის შესახებ — გარწმუნებთ, ასეთი სიტყვების თქმა თავად არ მსიამოვნებს, რადგან ყოველთვის მსაჯებს ვიცავდი, მაგრამ, როდესაც ხედავ, რომ ერთი და იგივე ინციდენტები მეორდება და მეორდება, ადამიანს ამის გაძლება და ატანა უკვე ძალიან გიჭირს".

აღსანიშნავია, რომ „ლაციო" ბოლო ტურშიც უკმაყოფილო დარჩა მსაჯობით. ეს იყო „რეჯინასთან" მატჩი, რომელშიც რეჯინელების სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი მაისურაზე დაქაჩვისთვის დანიშნეს, ხოლო ლაციოელ სიმონე ინძაგის წინააღმდეგ ზუსტად იგივე რამ უყურადღებოდ დატოვეს.

„ამით საკუთარი ნაკლოვანების ჩამორეცხვას სულაც არ ვცდილობ — დააზუსტა სერბმა — ჩვენ მეტოქის კარის წინ ბევრი შეცდომა დავუშვით. ბევრი საგოლე შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, მაგრამ დღეს ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ უნებურად ვიხსენებთ თავს გადახდენილს და ვამბობთ რა მოხდებოდა, მოვლენები ასე კი არა, ისე რომ განვითარებულიყო".

მოგეხსენებათ, „ლაციოს" ჯერ კიდევ აქვს მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი, თუმცა ამ საქმეში ძლიერი კონკურენტებიც ჰყავს, „პარმა" და „ინტერი".

„სამწუხაროდ — ასკვნის მიხაილოვიჩი — ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ აღარ არის. სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, სხვათა შედეგები ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს თუ არა".

მართლაც, ერთადერთი, რაც სერია A-ს ცხრილის ზედა ნახევარში დარჩა გასარკვევი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე იტალიელი წარგზავნილის ვინაობაა, ჩემპიონის, მეორე და მესამე გუნდების ამბავი კი გარკვეულია — „სან სიროზე" გამართულ, მიხალოვიჩის მიერ ხსენებულ შეხვედრაში „მილანმა" „რომას" 1:0 მოუგო. როგორც ზემოთ ვახსენეთ, იმ მატჩში იყო საპენალტე ეპიზოდი, რომელიც მსაჯის ყურადღების მიღმა დარჩა, რის შემდეგაც „რომას" გულშემატკივართა ტრიბუნიდან მოედანს მაშხალების და დიდხმიანი ასაფეთქებლების წვიმა არ მოჰკლებია. მათი ასაფეთქებლები ორჯერ მილანელთა მეკარე დიდას და ერთხელ ჯენარო გატუზოს წაქცევის საბაბად იქცა.

შეგახსენებთ, რომ მარტის ბოლოს რომაული დერბის ჩაშლის გამო, „სტადიო ოლიმპიკო" იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს ორი თამაშით ჰყავდა დისკვალიფიცირებული. ახლა, იმავე კომიტეტს აღარ უყოყმანია და სასჯელს კიდევ ერთი მატჩი დაამატა. ყოველივე ამას ზედ დაერთო 40 ათას ევრომდე ჯარიმა.

კომიტეტის განცხადებით, სასჯელი უფრო მკაცრი იქნებოდა, რომ არა „რომას" თავკაცის, ფაბიო კაპელოს სანიმუშო მიმართვა თავისი გუნდის გახელებული ქომაგებისადმი.

**პაპუნა ძელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები მოძრავი ცირკის ჟონგლიორი

## ლადისლაო კუბალა

*კუბალა პელეზე ტექნიკურია! — თქვა ერთხელ ალფრედო დი სტეფანომ. როგორც ჩანს, ადრე მართლა დიდი ადამიანები ცხოვრობდნენ, რადგან ეს ნათქვამი იგივეა, რაც, ვთქვათ: — ხავიერ სავიოლა ტიერი ანრიზე ტექნიკურია! — და ეს სიტყვები არც მეტი, არც ნაკლები ლუიშ ფიგუმ რომ წარმოთქვას. მივხვდით, ალბათ, რაზეცაა საუბარი*



**ლადისლაო** კუბალა ესპანურ ფეხბურთში საინტერესო თანარეკორდითაც არის შესული: ხიხონის „სპორტინგს" ერთ თამაშში შვიდი გოლი გაუტანა. კიდევ ერთი კაცი, ვისაც ასე, შვიდი გოლი აქვს შეგდებული, გახლავთ ბილბაოს „ატლეტიკის" თავდამსხმელი ბატა, რომელმაც ეს საქმე კუბალამდე 21 წლით ადრე... „ბარსელონას" საზიანოდ ჩაიდინა.

აი, ასე. ყველაფერი ხდება. ისიც კი ხდება, რომ სლოვაკი მშობლების შვილი — ოღონდ ერთი პაპით პოლონელი — ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავი გახდა და არა მარტო ესპანურის...

კუბალას სიყმაწვილე მეორე მსოფლიო ომს დაემთხვა, ანუ ლადისლაო, იგივე ლასლო, დილიდან ღამემდე მუშაობდა, რათა ოჯახში მასაც შეეტანა ლუკმა პურის ფული. ეს ამბავი... ბუდაპეშტში მოხდა, რაც არც სლოვაკეთია, არც პოლონეთი და არც ესპანეთი. ბუდაპეშტი უნგრეთის ულამაზესი დედაქალაქია, რომელიც 1944 წელს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა თუ თავად დაიპყრო. მოკლედ, ბუდაპეშტიდან გერმანელები წავიდნენ, რუსები მივიდნენ და ლასლო კუბალაც მივიდა... „ფერენცვაროში". იგი მაშინ 17 წლის იყო და უნგრეთის ნაკრებშიც აიყვანეს.

1946 წელს, სეზონში 19 გოლის ავტორს მამა გარდაეცვალა. დედამ სამშობლოში, ბრატისლავაში დაბრუნება გადაწყვიტა. იქ ლადისლაოს დახვდა გუნდი „ბრატისლავა" და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. სულ კუბალამ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში ექვსჯერ ითამაშა და ოთხი გოლი გაიტანა — ამბობენ, რომ ამის გარდა, ჩაატარა ხუთი არაოფიციალური თამაში ოთხი გოლით.

1948 წელს უნგრეთის ხელისუფლებამ ზემოქმედების ხერხებს მიაგნო და ლასლო თავის პირველ ქვეყანაში დააბრუნა. ის „ვაშაშში" მოეწყო, სადაც საოცრად შეუდგა ჯარიმების შესრულებას.

და ისევ უნგრეთის ნაკრები, რომელშიც სამჯერ ათამაშეს — რა მხიარული დრო იყო, არა? აი, მერე კი ექშენის ჟანრი დაიწყო: უნგრეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ კუბალა ჯარში გაიწვია, ეგრეთ წოდებულ „წითელ ლეგიონში". შედეგად, 1949 წელს საბჭოთა სამხედრო ფორმაში ჩაცმული ლასლო ღამით საბარგო მანქანაში დევნილებთან ჯდება, ოჯახის წევრებს ბრეზენტის ქვეშ მალავს და ვენაში იპარება.

ვენაში მასთან „ტორინოს" წარმომადგენლები მიდიან, ხოლო უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია საშინელ სკანდალს სტეხს, ფეხბურთელის სამუდამო დისკვალიფიკაციას სთხოვს მთელს კაცობრიობას. და როგორ გგონიათ, რას შვრება ფიფა? ის გაქცეულს დისკვალიფიკაციით სჯის.

მაშ ასე, კუბალა „ტორინოში" ვერ თამაშობს, თუმცა იტალიური კლუბი კეთილ ნებას იჩენს და უნგრელს თუ სლოვაკს, მოკლედ, პოლონელი ბაბუის ავსტრიაში გაქცეულ შვილიშვილს პორტუგალიაში, „ბენფიკასთან" ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ეპატიჟება. კუბალა ცხადია, თანახმაა, მაგრამ იმ დღეებში მეუღლე მეორე ვაჟს აჩენს და ქმარს გვერდით ყოფნას სთხოვს.

უკანა გზაზე ლისაბონიდან ტურინისკენ გამოფრენილი თვითმფრინავი მთას ეჯახება. იღუპება მთელი „ილ გრანდე ტორინო", ხოლო ჩვენი წერილის გმირი ბედს მადლობას უძღვნის — ეს გახლდათ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიათაგანი, რომელზეც კუბალას ხსენების გარეშე „სარბიელში" მრავალჯერ დაგვიწერია.

კუბალა სავარჯიშოდ ჯერ „მილანში" მიდის, შემდეგ ქალაქ ბუსტო-არზიცოს „პრო პატრიაში", საიდანაც ფიფას მოწყალების მიღებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

და ასე დარჩენილი უნგრელი ლტოლვილი ყველა ღონეს ხმარობს, რათა მისებრ ლტოლვილთაგან ჩამოაყალიბოს კლუბი „უნგარია", რომელიც ერთხან მართლა არსებობს. ევროპაში ავტობუსით დადის და ავტობუსზე ლასლოს ხელით გამოყვანილი MAGIC BUS აწერია, რაც ჯადოსნურ ავტობუსს ნიშნავს. ეს ყველაფერი მოძრავ ცირკს ჰგავს, რომელსაც სათავეში ჟონგლიორი უდგას. ცირკი... თვით ესპანეთის ნაკრებს ამარცხებს, 2:1.

და ლასლოს „ბარსელონა" ყიდულობს. „ბარსა" ვაჭრობაში ამარცხებს „რეალს" და აგვარებს საქმეს ფიფაში — საბოლოოდ ყველაფერი ესპანური პასპორტით მთავრდება.

კუბალას დებიუტი „ბარსაში" 1951 წლის აპრილში შედგა. ლადისლაომ და „ბარსამ" იმ სეზონში ესპანეთის თასის მოპოვება მოასწრეს.

მაშ ასე, „ბარსელონამ" ლიდერს მიაგნო. ის იყო 175 სანტიმეტრი, 83 კილოგრამი. მას შესანიშნავი პასი, დარტყმა და დრიბლინგი მოუდიოდა, ოღონდ ერთია აღსანიშნავი, ორმოცდაათიანების ბოლოს „ბარსელონას" მწვრთნელს, ელინიო ერერას არ მოუდიოდა თვალში. ერერა, მოგვიანებით კატენაჩოს ავტორი და მომგონი, მკაცრი სქემების მოყვარული ადამიანი გახლდთ და თავისუფალი სტილის მოთამაშეებს ძნელად ეგუებოდა.

მწვრთნელისა და ფეხბურთელის კონფლიქტი 1960 წელს ერერას წასვლით დასრულდა. მწვრთნელი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში საძულველ „რეალთან" დამარცხებას გადაჰყვა.

1961 წელს კი თვით კუბალამ „ჩამოჰკიდა ბუცები ლურსმანზე" და 1962-ში... აი, საშინელება — „ბარსელონას" მწვრთნელობა მოუხდა.

1963 წელს „ბარსას" თავკაცის თანამდებობიდან კინწისკვრით გაგდებული ლასლო „ესპანიოლში" მიდის მოთამაშე-მწვრთნელად, თუმცა აქ მხოლოდ 20 შეხვედრაში იღებს მონაწილეობას და ძირითადად წვრთნაზე ერთვება.

ცნობისთვის: ლადისლაო კუბალა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც კარიერის მანძილზე სამი ქვეყნის ნაკრების ფორმა მოირგო, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და ესპანეთის.

ამიტომაც ჰქონდა სამი სახელი: ლასლო, ლადისლავი და ლადისლაო.

და ბოლოს, კიდევ ერთ ამბავს გიამბობთ: 1965 წლის გაზაფხულზე ლეგენდარულმა ინგლისელმა თავდამსხმელმა, სტენლი მეტიუზმა გამოსათხოვარი მატჩი მოაწყო, რომელზეც ლადისლაო კუბალა არ დაუპატიჟებია. კუბალა უბრალოდ მეგობრებს, ფერენც პუშკაშს და ალფრედო დი სტეფანოს (ფუი, ფუი, ორივე რეალელია) გაჰყვა. რაღას იზამდნენ მასპინძლები, ზრდილობა ითხოვდა და, იმ გამოსათხოვარი თამაშის მიწურულს მოედანზე შესვლა დაუპატიჟებელ სტუმარსაც შესთავაზეს.

მატჩი რომ დამთავრდა, იქ შეკრებილ საზოგადოებას ერთი დიდი საკითხი დარჩა გაურკვეველი: რატომ დაანება ფეხბურთს თავი კაცმა, რომელიც...

**პაპუნა ძედია**







*დღეს, დილაადრიან, ივო შუშაკი თბილისიდან ზაგრებში გაფრინდა. ეს კი მისი ბოლო თბილისური ინტერვიუა, რომელშიც, ბუნებრივია, გულისტკივილიც იგრძნობა, თუმცა ხორვატის წასვლა დამშვიდობებას არ ჰგავს, „ნახვამდის!" — ამბობს შუშაკი*

## დელიკატური ინტერვიუ სულის ნაწილზე



# შუშაკი შეიძლება შორს არც წავიდეს: როსტოვი ახლოა

— ბატონო ივო, არაერთხელ გითქვამთ, რომ ფეხბურთმა ცუდზე გაცილებით მეტი ტკბილად მოსაგონარი წუთები გაჩუქათ. მათ შორის „დინამოც" იქნება?

— როდესაც „დინამოს" ვიბარებდი, კარგად ვიცოდი ამ გუნდის ამბიცია, ისტორია და შესაძლებლობები. საქართველოში ჩემი ყოფნისას მხოლოდ „დინამოზე" ვფიქრობდი. მსურდა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება მთლიანად კლუბისთვის გადამეცა. ვფიქრობ, ეს შევძელი. რაც შეეხება საწუხარს, გული მწყდება, რომ ჩემი საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე და სეზონი ვერ დავასრულე. მინდოდა, საქართველოს ჩემპიონის ტიტულსა და თასს კიდევ ერთხელ დაუფლებოდა „დინამო". მიუხედავად ამისა, გულწრფელად მსურს, „დინამომ" შარშანდელი წარმატება გაიმეოროს. ამაში ჩემი მცირე წვლილიც იქნება.

— ბევრის აზრით, თქვენს ხელში „დინამოს" კვლავაც შესწევდა ჩემპიონობისა და თასის შენარჩუნების ძალა. ამ შემთხვევაში თქვენი გაშვება ლოგიკას მოკლებული იქნებოდა. ხომ არ გგონიათ, რომ ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება თქვენი გათავისუფლების შესახებ?

— მოხარული ვარ, რომ თქვენც გჯეროდათ „დინამოს" გაჩემპიონებისა, შემდგომ განვითარებულ მოვლენებსა და წყალქვეშა დინებებზე კი ახლა არ მსურს ლაპარაკი. არ იფიქროთ, თითქოს პასუხისმგებლობას გავურბოდე. უბრალოდ, არ მინდა, ჩემპიონატისა და თასის გადამწყვეტ ეტაპზე ჩემმა სიტყვებმა „დინამოში" რაიმე არეულობა შეიტანოს.

**— კარგით, მაშინ ასე ვთქვათ: ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მწვრთნელის გათავისუფლება ნორმალურად მიგაჩნიათ?**

— ფაქტია, რომ მე მსურდა სეზონის „დინამოში" ჩამთავრება, მაგრამ ხელმძღვანელობამ, „დინამოს" დირექტორატმა გადაწყვიტა, რომ გუნდში მწვრთნელი შეეცვალათ. ასეთ ვითარებაში უძლური ვიყავი, რაიმე მეღონა. ისე კი, მე რომ ვყოფილიყავი დირექტორატში, ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი.

**— თუმცა „დინამოს" უარი თქვენ არა დირექტორატისგან, არამედ კლუბის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილისგან გაიგეთ...**

— მოდით, ამ კითხვასაც უკომენტაროდ დავტოვებ. ყველაფერი ისედაც ნათელია. ფაქტი ერთია, მე მხოლოდ „დინამო" მაინტერესებდა და რაიმე გულგრილობას ვერავინ დამწამებს. ერთს კი ვიტყვი, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ღირსეულად შევხვდი, თუმცა დრო ყველაფერს დაგვანახვებს, გადაწყვეტილების სამართლიანობასაც და ჩემი მუშაობის შედეგებსაც.

**— თქვენ უთქვენო „დინამოსაც" ნახავდით „სიონთან" მატჩში. რა სიახლეები შენიშნეთ?**

— „დინამომ" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო. ბიჭებმა წარუმატებლობების შემდეგ რამდენიმე პრინციპული თამაში მოიგეს და ამით საკუთარი ძალები ირწმუნეს. ბუნებრივია, ახალი მწვრთნელი თავისი შეხედულებებით მოდის, მაგრამ თუ გსურს, გუნდის თამაშში ცვლილება დაინახო, ამას ერთი მატჩი არ ეყოფა, ხანგრძლივად უნდა აკვირდებოდე და დასკვნებიც მერე გამოიტანო. ვისურვებდი, რომ ეს იყოს წარმატებული, ხანგრძლივი სიახლე, რომელიც კლუბს წაადგება. იგივე „სიონთან" მატჩის მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გუნდი კარგადაა მომზადებული.

**— ის ფეხბურთელები, რომლებსაც შუშაკი ენდობოდა, ტრანსფერზე აღმოჩნდნენ. თქვენი აზრით, რამდენად წაადგება ასეთი ნაბიჯი „დინამოს"?**

— სადაც უნდა გავაგრძელო ჩემი კარიერა, გოგობერიშვილის დონის ფეხბურთელის ნახვა ჩემს კლუბში ძალიან გამიხარდება. წერეთლის დარი ფეხბურთელი დაცვას ჰაერივით სჭირდება. მე მის შესაძლებლობებში ეჭვიც არ შემიტანია, თუმცა ბოლო ხანს მას საფიქრალი გაუხდა, გაუგრძელებდნენ თუ არა კონტრაქტს „დინამოში", რაც მის თამაშზეც აისახა. რაც შეეხება ბობოხიძეს, ის არატრადიციული, ფეთქებადი ტიპის ფორვარდია. გაზაფხულიდან მას დიდი პროგრესი ჰქონდა და ამის დაუნახაობაც უცნაურია. როდესაც „მარიბორის" მთავარი მწვრთნელი ვიყავი, გუნდის ოთხი წამყვანი ფეხბურთელი სარეზერვო გუნდში გადავიყვანე რეჟიმის დარღვევისთვის, ამ დინამოელებს კი ამის პრობლემა ნამდვილად არ ჰქონიათ. პირიქით, ისინი თავისი საქმის პროფესიონალები არიან. თუმცა ყველა საკუთარ გადაწყვეტილებებზეა პასუხისმგებელი.

**— ახლა რას აპირებთ, დაისვენებთ ფეხბურთისგან თუ შეუსვენებლად განაგრძობთ სამწვრთნელო კარიერას?**

— საერთოდ, ჩემი გეგმები წინასწარ არასოდეს დამიწყვია. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ჩემმა მენეჯერმა ვლადო პეპერიცმა დღესაც დამირეკა და ის ვარიანტები მითხრა, რომლებიც რეალურ წინადადებებზეა აგებული. ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული რუსული პრემიერლიგის ორ-სამი კლუბი, ყველაზე მეტად კი „როსტოვი" აქტიურობს. შემოთავაზებები მაქვს საკმაოდ ძლიერი ხორვატიული კლუბებისგანაც. აქამდე ყველა წინადადებას ცივად ვიღებდი, რადგან კონტრაქტი „დინამოსთან" მაკავშირებდა. ახლა წინააღმდეგი არ ვიქნები, ძალები რუსულ ფეხბურთშიც მოვსინჯო. თუმცა ჯერ აჩქარებაც არ მსურს და მინდა, ოჯახურ გარემოში დავისვენო. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ დასვენებაც ვერ შევძლო.

**— საქართველოში თუ დაბრუნდებოდით სამუშაოდ?**

— საქართველოში კერძო ვიზიტით რომ ხშირად ჩამოვალ, ვიცი, თუმცა ქართულ ფეხბურთსაც სიამოვნებით დავუბრუნდებოდი. თუნდაც იმიტომ, რომ კარგად გავერკვიე ქართულ ფეხბურთსა და ქართველი ფეხბურთელების პოტენციალში. აქ სამუშაო მასალა ნამდვილად არის.

**— დაბრუნება მხოლოდ „დინამოს" შეეხება თუ სხვა ქართულ კლუბებსაც?**

— „დინამო" ისეთი კლუბია, რომელსაც საქართველოში მუდმივად მოწინავე ადგილი ექნება. ის ქართული ფეხბურთის ერთგვარი ლოკომოტივია. მეც, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, მსურს, ლოკომოტივის მემანქანე ვიყო და არა მასზე ჩაბმული ვაგონის. ზაგრებში ქართულ არხებს ვიჭერ, ასე რომ, ქართულ ფეხბურთში შექმნილ სიტუაციას არ მოვწყდები.

**— ბატონო ივო, ხორვატიაში რას წაიყოლებთ ისეთს, რაც ყველაზე მეტად გაგახსენებთ საქართველოს?**

— საქართველოდან ძალიან ბევრს წავიღებ. თუმცა ამ ქვეყანას მე ნივთები არ გამახსენებს. ჩემთვის ეს ქვეყანა სხვა რამით იქნება ძვირფასი — აქ ჩემი სულის ნაწილი რჩება. სხვათა შორის, ჩემი გათავისუფლების შემდეგ რიგითი გულშემატკივრებით დაწყებული, ჟურნალისტებით დამთავრებული, ყველასგან თანადგომას ვგრძნობდი. ესე იგი, საქართველოში ჩემი მუშაობა დაინახეს და დააფასეს. ჩემთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჯილდოა.

**დავით ერაძე**

# ჩიხრაძის გამაჯანსაღებელი თერაპია
## არითმია და უარი მაცდურს

*თვეც არ გასულა, რაც 36 წლის გიორგი ჩიხრაძემ, ვისაც ეროვნულ ნაკრებში 24 მატჩი უთამაშია, თამაშს თავი დაანება — პირველლიგელი „ამერის" პირველი კაპიტანი „ამერის" მთავარი მწვრთნელი გახდა. ჩიხრაძის ხელში გუნდმა სამი თამაში მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთხელ წააგო, მეცხრე ადგილიდან მეექვსეზე აღზევდა და ახლა „ამერს" ურიგო შანსი როდი აქვს, უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე სერიოზულად იფიქროს და იბრძოლოს*



— როგორ შეეგუეთ მწვრთნელობას? ასეთი ნაბიჯი ხომ თქვენ მყისიერად გადადგით...

— მწვრთნელობაზე უკვე ფეხბურთელობისას ვფიქრობდი და ვემზადებოდი კიდეც ამისთვის, მაგრამ ჩემი გამწვრთნელება იმაზე უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ეს წარმომედგინა — „ამერის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. „ამერში" ფეხბურთელობის დროსაც მიწევდა მწვრთნელის ზოგიერთი ფუნქციის შესრულება: თამაშის დროს თანაგუნდელებისთვის კარნახი, რჩევები ვარჯიშებზე, მაგრამ მწვრთნელი რომ გავხდი, მეტი პასუხისმგებლობის გარდა გაცილებით ბევრი ფიქრიც მიწევს.

|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5103 | მარსელი-ნიუკასლი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5104 | ვალენსია-ვილიარეალი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5106 | მანჩესტერი-ჩელსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5107 | ევერტონი-ბოლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5108 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5109 | ლესტერი-პორტსმუთი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მიდლსბრო-სიტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5111 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5112 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5113 | ბირმინგემი-ლივერპული | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5114 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |
| 5115 | ფულემი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5116 | კ.ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,8 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5117 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5119 | ბაიერნი-ვერდერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5121 | ჰერტა-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5122 | მიონხენგლადბახი-შალკე | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5123 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5128 | ინტერი-პარმა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5130 | მოდენა-სიენა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## ფორმულა 1. ესპანეთი. 8 მაისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,45 | 1,07 | 1,03 | 1,6 |
| ბარიკელო | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| მონტოია | 7,0 | 1,7 | 1,12 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 3,5 | 1,2 | 8,0 |
| კულტჰარდი | 50,0 | 10,0 | 1,5 | 20,0 |
| რაიკონენი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| ტრული | 25,0 | 5,0 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 10,0 | 2,3 | 1,15 | 7,0 |
| ბატონი | 6,0 | 1,55 | 1,1 | 4,0 |
| სატო | 35,0 | 7,0 | 1,55 | 20,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| მასა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| უებერი | 75,0 | 12,0 | 2,3 | 30,0 |
| კლიენი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5003 | მარსელი-ნიუკასლი | 2.4 | 2.05 | 4,4 | 1.1 | 1.55 | 1,39 |
| 5004 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.8 | 2.2 | 7,5 | 1 | 1,45 | 1.7 |
| 5006 | მანჩესტერი-ჩელსი | 2,6 | 2.05 | 3.8 | 1,14 | 1.54 | 1.33 |
| 5007 | ევერტონი-ბოლტონი | 2,7 | 2,05 | 3.6 | 1.16 | 1,54 | 1.3 |
| 5008 | ლიდსი-ჩარლტონი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1.25 |
| 5009 | ლესტერი-პორტსმუთი | 2.9 | 2.05 | 3.4 | 1,2 | 1.56 | 1,27 |
| 5010 | მიდლსბრო-სიტი | 2,5 | 2,0 | 4.0 | 1.11 | 1,53 | 1.33 |
| 5011 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1.16 |
| 5012 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2.7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5013 | ბირმინგემი-ლივერპული | 4.2 | 2.05 | 2,4 | 1.37 | 1.52 | 1,1 |
| 5014 | ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი | 1.35 | 3.2 | 7.5 | 1 | 1.14 | 2.24 |
| 5015 | ფულემი-არსენალი | 4.4 | 2.05 | 2.35 | 1,53 | 1,53 | 1.17 |
| 5016 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.0 | 2,15 | 5.3 | 1,03 | 1,45 | 1.52 |
| 5017 | ჰანოვერი-აინტრახტი | 2.2 | 2,1 | 4.8 | 1,07 | 1.5 | 1,46 |
| 5018 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 3.6 | 2,05 | 2,7 | 1.3 | 1.54 | 1.16 |
| 5019 | ბაიერნი-ვერდერი | 2,2 | 2.1 | 4.8 | 1,07 | 1,5 | 1.46 |
| 5021 | ჰერტა-დორტმუნდი | 3.1 | 2,05 | 3.1 | 1.23 | 1,55 | 1.23 |
| 5022 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,7 | 2.05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1.3 |
| 5023 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.8 | 2.25 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,63 |
| 5028 | ინტერი-პარმა | 2.35 | 2.05 | 4.6 | 1.09 | 1,55 | 1,41 |
| 5030 | მოდენა-სიენა | 2,5 | 1.95 | 4,4 | 1,09 | 1,59 | 1.35 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| ქალაქი | მისამართი | შენიშვნა |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# რა დროს დოპინგია?!

## მინისტრი ხელს არ დაიბანდა



გიორგი გაბაშვილი



ზაზა ფაჩულია

**გუშინ სალამოს საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ტელეეკრანს თვალი ძლივს მოსწყვიტა და თითქოს მოიბოდიშა, ჩვენი ყურადღება ახლა სხვაგანაა მიპყრობილი, მაგრამ საკუთარ ვალდებულებებზე ხომ უნდა ვიფიქროთო.**

მართლაც, ვალდებულებებს რა ვუთხრათ, თორემ ჩვენი ყურადღებაც იქით იყო მიპყრობილი, საითაც მინისტრისა, მთელი საქართველოსი და კიდევ ბევრისა. ამიტომაც ათუხთუხებული აჭარა დროებით მივივიწყეთ და ყურადღება თბილისში რამდენიმე დღით ჩამოსულ ზაზა ფაჩულიასთან შეხვედრისკენ გადავიტანეთ. თუმცა, ვალდებულებანიც რომ არა, ნბა-ს მოთამაშისადმი ინტერესი ისედაც ბუნებრივია.

ფაჩულიასთან შეხვედრა მას მერე გაიმართა, რაც მინისტრმა თბილისში სტუმრად მყოფი ევროსაბჭოს ექსპერტები გაისტუმრა, რომლებიც საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის მოწვევით ჩამოვიდნენ.

და რა კი მინისტრთან ჯერ ეს შეხვედრა იყო, ჩვენც ამით დავიწყოთ.

ექსპერტები, როგორც „სარბიელის" მკითხველმა იცის, იყვნენ ლიტველი რიმა ბერლოვინი, თურქი ყისმეთ ერკინერი და ფრანგი სტენ ფროსარდი, რომლებიც სპორტული მედიცინის, უფრო ზუსტად ჩვენი ანტიდოპინგური პრობლემების შესასწავლად ჩამოვიდნენ. ამ მიზნით ორი დღის განმავლობაში ისინი უშუალო მასპინძლის გარდა ეწვივნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელებსაც და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებსაც, გუშინ სალამოს კი ვიზიტი კულტურისა და სპორტის მინისტრთან შეხვედრით გაასრულეს, რასაც პრესკონფერენციაც მოჰყვა.



ევროსაბჭოს ექსპერტებმა მთელი სპორტული თბილისი მოიარეს

პრესკონფერენციაზე ექსპერტებმა შეგვახსენეს, რომ ის პრეპარატები, რომლებსაც ავადმყოფები ჩვეულებისამებრ მოიხმარენ, შხირად სპორტსმენისთვის დოპინგის მიღების ტოლფასია. ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ მხრივ საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობას.

სტუმართა თქმით, დოპინგის საწინააღმდეგოდ საჭიროა სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობა მიიღოს. იმავე მიზნით თავიანთი ფუნქციები უნდა გაინაწილონ ორგანიზაციებმა და დაადგინონ, თუ ვინ გააკონტროლებს ანტიდოპინგურ საქმიანობას. ბოლოს სტუმრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ყველა პრობლემა მოგვარდება.

უცხოელი სტუმრები ის იყო მინისტრს გამოემშვიდობნენ, როცა მისალებში მათი ყურადღება უმალ ზაზა ფაჩულიამ თავისი სიმაღლით მიიპყრო. როცა სტუმრებმა შეიტყვეს ნბა-ს მოთამაშეაო, უმალ გამოცოცხლდნენ და მასთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღეს.

იქვე იყვნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და ვიცე პრეზიდენტი ლაშა ძიძავა. მინისტრმა მათგან შეიტყო, რომ ფაჩულიამ ბავშვებთან საჩვენებელი ვარჯიში ჩაატარაო და ივარაუდეს, ეს პატარებისთვის დიდი სტიმული იქნებაო. მინისტრიც დაეთანხმა და იხუმრა, ბავშვობაში, როცა კალათბურთს ვთამაშობდი ნბა-დან ვინმე რომ ჩამოსულიყო და ჩემთვის ხელი ჩამოერთმია, იმ ხელს მთელი თვე აღარ დავიბანდიო.

თავად ფაჩულიამ დაგვაიმედა, ჩემი, ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკოლოზ ცქიტიშვილს ერთი დიდი ოცნება და მიზანი გვაქვს, საქართველოს ნაკრებში თამაში და იმ ჭაობიდან ამოსვლა, რომელშიც ქართული კალათბურთი იმყოფებაო. ისიც დასძინა, ჩვენ ვიცით ჩვენი ძალა და შესაძლებლობა. სამი ნბა-ელი ხუმრობა არ არის და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში რეალურ შანს ვხედავ და მიზანს მივაღწევთო.

ფაჩულიამ, ლიპარტელიანმა და ძიძავამ ყურადღება გაამახვილეს თბილისის სპორტის სასახლეზეც, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებამდე წესრიგში მოსაყვანია...

გაბაშვილი კალათბურთელებს რაღა თქმა უნდა, თანადგომას დაჰპირდა და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთთან შეხვედრით ფრიად კმაყოფილი დარჩა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

---

ჩოგბურთი

# ენდი მეხანძრე კორტზე ჩაიფერფლა

## ლაბაძემ რომაული არდადეგები დაასრულა

**მასტერსის სერია**
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

**პირველი წრე. *4 მაისი***

**გილერმო კანიასი** (არგენტინა) — ენდი როდიკი (2, აშშ) 7:6 (7:4), 6:3; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:5, 6:2; **ნიკოლას მასუ** (8, ჩილე) — მასიმო დელაკვა (იტალია) 6:7 (9:11), 7:5, 6:3; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (9, ავსტრალია) 6:2, 4:6, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (12, ჩეხეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 2:6, 6:3, 6:1; **მარტინ ფერკერკი** (14, ჰოლანდია) — ტოდ მარტინი (აშშ) 7:5, 3:6, 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — სტეფანო პესკოსოლიდო (იტალია) 6:4, 6:3;

როცა რომ შაბათს რომაულ ოტელ „პარკო დეი პრინჩიპის" — სადაც სამასტერსოდ შეკრებილი ჩოგბურთელებიც სახლობდნენ — ცეცხლი მოეკიდა, ენდი როდიკი მეხანძრეებთან ერთად მამაცურად ებრძოდა სტიქიას და სასტუმროში მცხოვრებთ ევაკუაციაში ეხმარებოდა. მაგრამ როცა საქმე საკუთრივ ჩოგნაობაზე მიდგა, სტიქიასთან ჩაუქად მორკინალმა ამერიკელმა ჭაბუკმა ვერც მისთვის ჯერაც არამახლობელ თიხნართან გააწყო რამე და ვერც გამოცდილ მოთიხნარე გილერმო კანიასთან.

კარგად ვიცოდი, რომ წლის პირველ თიხნარტურნირზე ყოველთვის უჭირს და თამაშიც შესაბამისად წარვმართეო, ამბობდა ნამატჩევს კანიასი. ვეცადე, ჩემი მოწოდება არ დამეთმო და მისაზე უფრო აგრესიული ვყოფილიყავი — სხვა საფრებისგან განსხვავებით მისი ყუმბარა მოწოდება ხომ თიხნარზე შესამჩნევად ნელდებაო.

ჰოდა, ასეც ითამაშა. როდიკმა მისი 11 უნებლიე შეცდომის წილ ჯამში 35-ჯერ მიჰქარა და ამ 35-დან სამი ტაიბრეიკში, სეტპოინტებისას.

არადა, თვეზე ცოტა ხნის წინ ისინი ერთმანეთს მაიამობის მეოთხე წრეში ერკინენ და ენდიბოიმ გაუჩოს მაშინ 6:3, 6:3 აჯობა.

სხვაფრივ — იმ დღეს კიდევ ორი ამერიკელი წამოაქციეს. ჯეიმს ბლეიკმა ირჟი ნოვაკთან დათმო, ჭარმაგმა ტოდ მარტინმა კი წინა კვირას მიუნხენურ ფინალში ნიკოლაი დავიდენკოსგან ძლეულ მარტინ ფერკერკთან.

წინა კვირასვე ბარსელონაში გაჩემპიონებულმა ტომი რობრედომ მეცხრე ნომრად განთესილი მარკ ფილიპუსისი აოტა, ლეიტონ ჰიუიტი კი იტალიელ კვალიფიკანტ ანდრეას სეპის ვერ უგებდა (5:7, 3:3), როცა აზრზე მოსასვლელად და სულის მოსათქმელად შხაპუნა წვიმა წამოეშველა.

**მეორე წრე *5 მაისი***

**ნიკოლას მასუ** (8, ჩილე) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 7:5; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 6:2, 5:7, 6:2; **ლუის ორნა** (პერუ) — მარტინ ფერკერკი (14, ჰოლანდია) 6:4, 3:6, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (15, ავსტრალია) — ანდრეას სეპი (იტალია) 5:7, 7:5, 6:3

ამქრის ზეგარდმო პირველოსანი როჯერ ფედერერი უკვე საპირველწრეო მოგების შემდეგ ამბობდა, რომ ალბერტ კოსტასთან მოსაგებად გაცილებით უკეთ უნდა ეთამაშა, ვიდრე ეს იონას ბიორკმანთან გააკეთა. როგორც გუშინდელმა შეხლამ დაადასტურა, ფედერერი არ სცდებოდა — როლან გაროსის შარშანწინდელმა ჩემპიონმა მის წინააღმდეგ მართლაც საუცხოოდ იჩოგნავა და წლევანდელ სეფეთიხნარობამდე ორიოდე კვირით ადრე კაი ზორბა საზრუნავიც გაუჩინა. თუკი ფედერერი პარიზში კარიერის მესამე სლემტიტულის საძებნელად აპირებს ჩასვლას, მაშინ თავის სათიხნარო ფორმის სრულყოფა მართებს.

მატჩის შემწყვეტმა წვიმამ ლეიტონ ჰიუიტს მართლაც უშველა, მის 20 წლის უსახელო მეტოქეს კი, ვისაც აქამდე მხოლოდ ოთხად ოთხი საეიტიპიო მატჩი ეთამაშა და ოთხჯერვე ძლეულიყო, კარიერის პირველი დიდსიხარულის შანსი გაუცუდა. დღეს დილით რომ დავფიქრდი, მატჩის მოგებამდე სამი გეიმიღა მაკლდა, ეგრევე ავნერვიულდიო, ამბობდა ნამატჩევს იტალიელი და დასძენდა, ძალიან მწყდება გული, გუშინვე რომ არ დამცალდაო.

ჩოგანმომარჯვებულმა ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ გუშინ დაასრულა რომაული არდადეგები. პირველ წრეში არგენტინელი გასტონ გაუდიოს გავლის შემდეგ იგი ერთ განთესილთაგანს, ჩილელ ნიკოლას მასუს დაუხვდა და ორ სეტში დამარცხდა.

**LADIES GERMAN OPEN**
ბერლინი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**პირველი წრე**

**ვერა ზვონარიოვა** (9, რუსეთი) — ტატიანა პერებიუნისი (უკრაინა) 6:3, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (10, რუსეთი) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:3, 6:1; **პატი შნიდერი** (13, შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; **მეგან შონესი** (აშშ) — ელენა დოკიჩი (15, სერბეთი) 6:0, 6:3; **მარია შარაპოვა** (17, რუსეთი) — დინარა საფინი (რუსეთი) 6:1, 1:6, 6:3

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — იულია შრუფი (გერმანია) 6:3, 6:1

ჯენიფერ კაპრიატი ბერლინურ თიხნარობაზე უკვე მეცხრედ გამოდის, ერთხელ, 2001 წელს იქ ფინალშიც გარჯილა, ხუთჯერ ნახევარფინალამდე მიუღწევია, სულ ძლეულა რვაჯერ და უმარჯვია ოცდაერთჯერ, მაგრამ სანუკვარ ტიტულს კი ვერასჩოგნით ვერ შესწვდენია. ჩვენს შორის თუნდ ნუ დარჩება და — რამის გამხერხებელი ის არც ამ ჯერზე უნდა იყოს, მაგრამ იმ დღეს უსახელო გერმანელი იულია შრუფი დამაჯერებლად შემუსრა და მის ქომაგებს ეგებ იმედებიც გაუღვივდათ.



ირაკლი ლაბაძე

ამ იმედების ჩამნაკვერცხლებელთაგან იქ წლეულს მხოლოდ მეორე ნომრად განთესილი ამელი მორესმო და ზედიზედ ორი ტურნირისა და (ფედთასის ორი მატჩიანად) 11 შეხვედრის მომგები, მესამედ განთესილი ვინუს უილიამსი იპაექრებენ. ითამაშებს ასევე შარშანდელი ფინალისტი კიმ კლაისტერსიც, თუმცა ლეიტონის დრანცულა გოგოს მარცხენა მაჯა უჯმაჯურებს და თავადაც არ მალავს, ამ მაჯით ბევრი პრეტენზია არ მაქვსო.

რაც შეეხება შარშანდელსა და იმისწინდელ ჩემპიონ ჟუსტინ ენენარდენს, მას კვლავ რაღაც ვირუსი აწუხებს და ამის გამო ტიტული დასტურ დაუცველი დარჩება.

დანარჩენზე კი მერე და მერე წავიკამაცკამაცებთ ხოლმე.

**ლევან ძ[illegible]ელაურაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

ნახევარფინალი. ორ მოგებამდე

# სიხარულის ოფლი

## ბრაიკოვიჩმა ფინალი გამოიმუშავა

### დინამო 2:1 თსუ

5 მაისი. ვერის ბაღი

**დინამო 74:64 თსუ**

18:19 19:14 17:16 20:15

დინამო: გამყრელიძე (7), ხოშტარია (13), ბეჟანიშვილი (12), კეიდია (6), მუშკუდიანი (2); მინაშვილი (12), ლოსაბერიძე (13), ტლენტი (4), კილაძე (3), ჩუბინიძე (2)
თსუ: თორთლაძე (5), მაისურაძე (12), ორმოცაძე (2), ნაცვლიშვილი (10), შენგელია (19); აბრამიძე (9), სანიკიძე (3), ორმოცაძე (2), საყვარელიძე (2), ფანჩულიძე, ვეფხვაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ გელოვანი



შედეგი ლოგიკური იყო, ყველა პირობით დაკმაყოფილებული და ხელფასებით უზრუნველყოფილი „დინამო“ თავისთავად მოუგებდა. თვეების განმავლობაში ანაზღაურების გარეშე მყოფ ჩვენს გუნდსო, თქვა ნამატჩევს თსუ-ს მწვრთნელმა მამუკა ტურაშვილმა სრულიად მშვიდი ტონით.

საერთოდაც გუშინდელმა მატჩმა ნახევარფინალის კვალობაზე რაღაც მშვიდად ჩაიარა. თსუ-ს კალათბურთელები თავიანთ მწვრთნელთან ერთად ფიცხი და ფეთქებადი ხასიათით არიან ცნობილნი და საბოლოოდ წაგებულებმა გუშინდელი მატჩი მშვიდობიანად რომ ჩაამთავრეს, ცოტა არ იყოს, ბევრს გაუკვირდა. ჟურნალისტების უმრავლესობა ვარაუდობდა, შანსი არაა, ამ თამაშმა უჩხუბრად ჩაიაროსო. თქვენც არ მომიკვდეთ, არავითარი ნერვების წყვეტა, თსუ ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა წაგებას. ბევრი იფიქრებდა შედეგით ორივე გუნდი კმაყოფილიაო...

თუ უსახსრო თსუ-ს ვერავინ დაძრახავდა ნახევარფინალში დამარცხებისთვის, „დინამოს“, ფინალს მიღმა რომ დარჩენილიყო, კატასტროფა ელოდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება ჩააქსოვა თამაშში, ბევრი ენერგია დახარჯა (მთელი მატჩი არ დამჯდარა) და შეხვედრის ბოლოს ერთგვარი სიამოვნებით იწმენდდა ერთიანად გაოფლილ სახეს.

ვერ ვიტყვით, თამაში მოსაწყენი იყოო, თსუ-მ ბოლო მეოთხედამდე შეინარჩუნა შანსი, მაგრამ სულ იგრძნობოდა, რომ „დინამო“ გაიმარჯვებდა. ჯერ ერთი, ბრაიკოვიჩელები უკეთ თამაშობდნენ და თავიდანვე რომ ვერ გაიჭრნენ წინ, თსუ-ს სადებიუტო მონდომების ბრალი იყო — უნივერსიტეტელები ხომ ნებისმიერ მეტოქეს მოუგებენ საწყის წუთებს, თუმც იშტას ბოლომდე ვერ ინარჩუნებენ.

ახლაც ასე იყო, ტურაშვილის ბიჭებმა თანაბარი დებიუტის შემდეგ პირველ მეოთხედის შუაში დაწინაურება მოახერხეს. გიგი ნაცვლიშვილის ფარქვეშ ჩაუქობამ გაჭრა, მამუკა აბრამიძემაც ჩააგდო სამქულიანი — 16:10 სტუდენტების სასარგებლოდ. „დინამოს“ თავკაცმა მალევე მოახდინა შეცვლები. მან ბარე მთელი გუნდი გამოსცადა პირველსავე მეოთხედში, სანამ საჭირო ხუთეულს მიაგნებდა.

დაბალანსებულმა დინამოელებმა მცირე შესვენებამდე მოახერხეს სტუდენტების გადასწრება, მეორე მეოთხედიდან კი გაუტიეს და თსუ ახლოს აღარ მიუშვეს.

„დინამო“ პირველი ფინალისტია და მოთმინებით ელის „ბასკო“ — „სტუ-ჯეოსელის“ დღევანდელ მატჩს, რომელში გამარჯვებულთანაც უნდა დაიცვას შარშან მოპოვებული ჩემპიონობა.

**ირაკლი პერტაია**

## 2004 NBA Playoffs



დუგ კრისტიმ და „საკრამენტომ“ „მინესოტას“ მოედნის უპირატესობა წაართვეს

# შრომამ მაიამის აამა

### პირველი წრე

**აღმოსავლეთი**

**მაიამი 4:3 ნიუ ორლეანი**

**მაიამი 85:77 ნიუ ორლეანი**

მაიამი: ვეიდი (12), ჯონსი (8), კ. ბატლერი (23), ოდომი (16), გრანტი (14); ალსტონი (11), ალენი (1), ჰეისლიპი
ნიუ ორლეანი: დევისი (5), ვესლი (2), ლინჩი (9), ბრაუნი (10), მალუა (6); სმიტი (25), არმსტრონგი (8), უილიამსი (7), ვესტი (5), ოგმონი, ტრეილორი

საჩუქრის შერგებაც ასე უნდა. „მაიამი ჰითს“ რეგულარული სეზონის ბოლოს მეტოქე გუნდებმა მოედნის უპირატესობა და ამის წყალობით ეს თვალსა „დაუთმეს“ და ხელს შუა მოლონიერებული ქვესაშუალო წონის გუნდი კონფერენციის ოთხ უძლიერეს შორის მოხვდა.

„გახსოვთ, როგორ ვიწყებდით? — ამბობს მაიამელთა ლიდერი ლამარ ოდომი — ჯერ პირველი შვიდი თამაში წავაგეთ, შემდეგ 5 მოგება და 15 წაგება გვქონდა, მარტში კი 25 მოგება და 36 წაგებაა. ჩვენს ლიგაში ბევრი გუნდი პირველი ოცი თამაშიდან 15-ს რომ წააგებს, მომდევნო სეზონისთვის იწყებს მზადებას, მაგრამ ჩვენ ვიმუშავეთ, ვიმუშავეთ, კიდევ ვიმუშავეთ და ამ ლამით მოსავალს ვიღებთ.“

მეორე წრეში მაიამელები „ინდიანას“ ეჯახებიან, მაგრამ მანამდე ჯერ ადრეა. მათი მწვრთნელი სტენ ვან განდიც კი აჩქარებულა — სანამ „ინდიანაზე“ ფიქრს დავიწყებ, სამიოთხი საათი ცაში უნდა ვიფრინოო.

„ინდიანასთან“ „მაიამის“ მოედნის უპირატესობა აღარ ექნება, შინ მაქსიმუმ სამი თამაში უწევს და არა ოთხი, როგორც „ნიუ ორლეანთან“ ჰქონდა. თუ მეორე წრეში გასვლის შემდეგ ეიფორიაში არ გადაეშვება და წინსვლაზე იფიქრებს, „მაიამი“ მეტოქეს მისსავე მოედანზეც უნდა აალალოს ერთი გამარჯვება, შინ კი ძველებურად ყველა მოიგოს.

### მეორე წრე

**დასავლეთი**

**მინესოტა 0:1 საკრამენტო**

**მინესოტა 98:104 საკრამენტო**

მინესოტა: კასელი (40), ჰასელი (17), სპრიუელი (5), გარნეტი (16 ქულა, 18 მოხსნა, 7 პასი), ჯონსონი (6); ჰოიბერგი (8), მადსენი (6), ოლოვოკანდი, მარტინი
საკრამენტო: ბიბი (33), კრისტი (13), სტოიაკოვიჩი (14), ვებერი (15), დივაცი (16); მილერი (13), პილერი (2)



## საქართველოს მე-14 ჩემპიონატი

**საუ-მამული 30:22 თბილისი**

საუ-მამული: ხონელიძე, დ. ბერიკაშვილი, ოსიყმაშვილი (გაიტანა 7 გოლი), ზაქარიაშვილი (7), წივწივაძე (6), კობახიძე (5), ქ[illegible]ელიძე (2), ცოტაძე, ჭაფოძე (2), ლალანიძე (1), ო. ბერიკაშვილი, ხუციშვილი, შონია
თბილისი: გონჩაროვი, სამარლანიშვილი (10), სიორიძე (3), ურუშაძე (3), ფჩორაქიშვილი (2), ჩხაიძე (2), რუხაია (2), არსენაშვილი, ხურციძე, ტლენტი, აბულაძე
მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

**ქუთაისი 37:35 მართვე**

ქუთაისი: ხინგავა, ნიქაბაძე, ბოყოჩაძე (17), გობეჯიშვილი (6), მამასახლისი (4), გოგონაძე (4), გაბედავა (4), კუჭუხიძე (2), შათირიშვილი, ხარაიძე, აბულაძე, შარაშენიძე, გურაბანიძე, დოლაკიძე
მართვე: სამყურაშვილი, ბიჩინაშვილი, კვერნაძე (11), ქირია (7), სხიერელი (5), აგლაძე (5), ბერძენიშვილი (4), სიგუა (3), გრიშიკაშვილი, საჯაია, მსხვილიძე, ჯორბენაძე, ცერცვაძე, დარჩიაშვილი
მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი

# გააჩერეთ ბოყოჩაძე!

გუშინდელი ორივე მატჩი დაძაბული და საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ეგაა, იგივეს ვერ ვიტყვით შემსრულებელთა ოსტატობაზე.

„ქუთაის“ — „მართვეს“ დაპირისპირებაში ობიექტიურად, უპირატესობა უფრო თანაბრად დაბალანსებულ „მართვეს“ მხარეს უნდა ყოფილიყო. ქუთათურთა მთელი ბანაკი ხომ უმთავრესად ვეტერან ალეკო ბოყოჩაძის შედეგიანობაზეა ჩამოკიდებული და თუ მას ხელ-ფეხს შეუკრავენ, ბუნებრივია, მეტოქეებს წარმატების შანსი საგრძნობლად გაეზრდებათ. მართველები ასეც მოიქცნენ და ალეკოს პერსონალური მეურვე მიუჩინეს, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ამით ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. სნაიპერმა „მხოლოდ“ 17-ჯერ გაისროლა და ამით თავის გუნდს პირველი გამარჯვებაც მოაპოვებინა.

ბოყოჩაძეს სამ თამაშში 50 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურებული, ლამის ორმაგი სხვაობით უსწრებს უახლოეს მდევრებს, მართველ გიორგი კვერნაძეს (28) და შევარდნელ მამია კობახიძეს (26).

მეორე მატჩშიც იგივე განმეორდა — საბოლოოდ გაიმარჯვა იმან, ვინც თავიდან დაწინაურდა. საწყის ოთხ წუთში მამულელებმა შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ „თბილისს“ სამი უპასუხო გოლი შეუგდეს და საფინალო სასტვენამდე ერთხელაც არ მისცეს თუნდაც გათანაბრების საშუალება.



მამულელმა გიორგი წივწივაძემ (მარჯვნივ) „თბილისს“ ექვსჯერ გაუტანა

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 0 | 88:50 | 4 |
| საუ-მამული | 1 | 0 | 1 | 63:57 | 2 |
| თბილისი | 1 | 0 | 1 | 56:60 | 2 |
| მართვე | 1 | 0 | 2 | 97:114 | 2 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 2 | 90:113 | 2 |

## საქართველოს თასი. პირველი ეტაპი

**შინაგანი ჯარი-დინამო 19:28 იმედი L აკადემია 2**

**შ.ჯ. დინამო:** ბუკია (თვალაშვილი), სვანიძე (სულამანიძე), სამადაშვილი, ხორბალაძე, ლობჟანიძე, ბაქრაძე, ქავთარაძე (გიორგაძე), ახალაძე, კამკამიძე, რამიშვილი, ხვიჩია, რუხაძე, ცოფურიშვილი (გაგნიძე), ურუმაშვილი (ხიაზაშვილი), ღირსიაშვილი

2 ლ. სვანიძე, სამადაშვილი. 3 ს. ღირსიაშვილი

**სინბინი:** კამკამიძე

**იმედი L აკადემია 2:** ხვადაგიანი (კიკალიშვილი), პაპიაშვილი, წიკლაური, ბ. სირბილაძე (ალიხანაშვილი), ობოლაძე, მჭედლიძე (კობიაშვილი), მაღლაკელიძე, გ. სირბილაძე, ბეგაძე (მეფარიშვილი), ჭაავა (დუდაური), მაჩიტიძე (კაკაბაძე), ნატროშვილი, ლამბაშიძე, გორგაძე, ხუხუნეიშვილი

5 ლ. გ. სირბილაძე (2), ბეგაძე, ლამბაშიძე, გორგაძე. ს. ჭაავა

**სინბინი:** მაჩიტიძე, ბეგაძე, მაღლაკელიძე, კაკაბაძე

**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი

**ხულიგანა 32:14 არმაზი**

**ხულიგანა:** ხოსიტაშვილი, მურვანიძე, შეყლაშვილი, ჭიჭინაძე (ნიკურაძე), გ. კენჭაძე, ოკმელაშვილი, მამულაშვილი, აბაშიძე, კრეპსი (დოლენჯაშვილი), ხინჩიგაშვილი, გოგოლაძე, ჟამუტაშვილი, წიკლაური, ხმალაძე, თ. კენჭაძე, თოდრაძე

5 ლ. ხოსიტაშვილი, კრეპსი, ჟამუტაშვილი, თ. კენჭაძე, თოდრაძე. 2 გ. ხინჩიგაშვილი, თოდრაძე. ს. ხინჩიგაშვილი

**სინბინი:** გოგოლაძე

**არმაზი:** ლეფსვერიძე, სოსელია, ლიპარტელიანი, ლომსაძე, კანდელაკი, პინიაშვილი, მინაშვილი, ლამბაშიძე, ტატიშვილი, ურჯუკაშვილი, კასრაძე, კაივაჯიანი, გეთიაშვილი, მაისურაძე, ჩხაიძე

2 ლ. სოსელია, ჩხაიძე. 2 გ. ურჯუკაშვილი

**სინბინი:** ლიპარტელიანი, მინაშვილი, ლამბაშიძე, ჩხაიძე

**მსაჯი:** ლევან მგელაძე

# მორაგბეების მოტივი: მშრალი ლოკომოტივი

როგორც იქნა, გამოიდარა, ლოკომოტივის მიწა ოდნავ შეშრა და ვაკეში სათასო მატჩების ჩატარებას საშველი დაადგა. გუშინ ორგზის გადადებული ორი შეხვედრა გაიმართა და მეორე ეტაპზე გასული გუნდების რაოდენობაც გასამდა. შაბათის ვარკეთილის მეურნეობაში ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად შედარებით თანაბარი გუნდები შეერკინნენ ერთმანეთს. საკმაოდ გავიდა ლელოები და შესახედად არცთუ უხეშ ამ ორ თამაშში მსაჯებმა ჯამში არც მეტი არც ნაკლები ათი მოთამაშე გაასინბინეს.

შედარებით დაძაბული გამოდგა „შინაგანი ჯარი-დინამოსა" და „იმედი L აკადემია 2-ის" რკენა. მეორე ტაიმის თითქმის შუაწელამდე თანაბარი ბრძოლა იყო და მცირე უპირატესობა „დინამოსაც" კი ჰქონდა, მაგრამ მეტწილად ხელდახელ მობურთალმა აკადემიელებმა მეტოქე სამი უპასუხო ლელოთი გატეხეს. საინტერესოა, რომ მათ სულ ხუთი ლელო გაიტანეს და ერთიც ვერ გარდასახეს.

მეორე მატჩში „ხულიგანამ" პირველი ტაიმის მხოლოდ 8:7 მოგების შემდეგ 18-ქულიანი სხვაობით სძლია „არმაზს". სადღეისოდ უფრო გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა „ხულიგანამ" მოწინააღმდეგე დაღალა, მეორე ნახევარში კი თამაში გაშალა და ხშირი ტექნიკური წუნის მიუხედავად, ანგარიშის ზრდაც იწყო. გამოსარჩევია მათი უკანახაზელის თოდრაძის აქტიურობა. „პროპელერამ" ერთი-ორჯერ ისეთი გარღვევა განახორციელა, ნებისმიერ ქართველ სპრინტერს შეშურდებოდა.

უკაცრავად, საქართველოში ნამდვილი სპრინტერები თუ გვყავს?



# რევოლუცია ჩე გევარაზე
## ფიდელი ხალხში არ გაერია

კუბაში გამართულმა ერთდროული თამაშის სეანსებმა მონაწილეთა სიმრავლით 13 ათასს გადააჭარბა და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა.

თამაშები ქვეყნის ცენტრში მდებარე ქალაქ სანტა-კლარაში, ერნესტო ჩე გევარას სახელობის მოედანზე გაიმართა. საჭადრაკო მაგიდები მთელ ქუჩაზე იყო განლაგებული და 864 ჭადრაკის ოსტატი 13 ათას მოხალისეს ეპაექრებოდა. ოსტატთა შორის იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი რუსი ანატოლი კარპოვი. იგი ერთდროულად 11 დაფაზე თამაშობდა და მისი მოწინააღმდეგეები კუბის ხელისუფლების წარმომადგენლები და გამოცდილი მოყვარული მოთამაშეები იყვნენ.

„ასეთი რანგის ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს ჭადრაკის განვითარებას არა მარტო კუბაში, არამედ მთელ მსოფლიოში" — განაცხადა რუსმა დიდოსტატმა სეანსის შემდეგ.

ერთდროული თამაშების წინა რეკორდიც კუბელებს ეკუთვნით. 2002 წლის 7 დეკემბერს ჰავანაში, რევოლუციის მოედანზე, 11 320 კუბელმა ერთდროულად 5 660 პარტია ითამაშა. მაშინ მონაწილეთა შორის ქვეყნის ლიდერი ფიდელ კასტროც იმყოფებოდა, რომელმაც უარი განაცხადა მონაწილეობაზე.



ერთდროული ჭადრაკის სეანსი სანტა-კლარას ქუჩებში ფიდელ კასტროს ფონზე

**ლაშა გეგეჭკორი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი
24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

# შვეიცარიელების შვეიცარიაში გერმანელები არ გაატარა

— 4 მაისი —

**E ჯგუფი**

**შვეიცარია 1:0 გერმანია**
0:0 1:0 0:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 0 | 0 | 19:5 | 10 |
| კანადა | 3 | 1 | 1 | 15:10 | 7 |
| ლატვია | 1 | 2 | 2 | 8:9 | 4 |
| შვეიცარია | 1 | 2 | 2 | 8:11 | 4 |
| გერმანია | 1 | 1 | 3 | 6:14 | 3 |
| ავსტრია | 0 | 2 | 3 | 9:16 | 2 |

**F ჯგუფი**

**აშშ 8:3 დანია**
4:3 4:0 0:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 18:5 | 8 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 12:5 | 8 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 17:8 | 7 |
| აშშ | 2 | 1 | 2 | 17:15 | 5 |
| რუსეთი | 1 | 0 | 4 | 10:14 | 2 |
| დანია | 0 | 0 | 5 | 6:33 | 0 |

**მეოთხედფინალი**

— 5 მაისი —

ჩეხეთი — აშშ
შვედეთი — ლატვია

— 6 მაისი —

კანადა — ფინეთი
სლოვაკეთი — შვეიცარია

**მე-13-16 ადგილისთვის**

**იაპონია 2:2 საფრანგეთი**
*2:0 0:2 0:0*

**ცუხელ გვიან**

**მეოთხედფინალი**

**შვედეთი 4:1 ლატვია**
*3:0 0:0 1:1*

**აშშ 3:2 ჩეხეთი**
*0:0 1:2 1:0 0:0 1:0*



REUTERS ოსტრავიდან

ამერიკელმა ერიკ ვესტრუმმა დინიელთა კარში გოლიც შეაგდო და თვითონ დინიელებიც შეყარა

სამშაბათს ბოლო მეოთხედფინალისტის ვინაობაც გაირკვა. უღრესად დაძაბულ ბრძოლაში შვეიცარიის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით აჯობა გერმანიას და საპლეიოფო საგზური დაისაკუთრა. მატჩის შემდეგ ორივე გუნდი ძალიან ფრთხილობდა და ნერვიულობდა, საბოლოოდ ყველაზე იღბლიანი ვალენტინ ვიურცი აღმოჩნდა, რომელმაც გერმანელთა დაცვის უხეში შეცდომა გამოიყენა და 34-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები. მიუხედავად დიდი მცდელობისა, გერმანელებმა ვეღარ გაათანაბრეს, რადგან კვლავ გაიბრწყინა შვეიცარიელთა მეკარემ, ოღონდ ამჯერად ანაჰაიმელმა მარტინ გერბერმა. მან 28 დარტყმა მოიგერია.

## პლეი ოფი. მეორე წრე

# კანადას ჰოკეი წაართვეს

— 4 მაისი —

**აღმოსავლეთი**

**ტორონტო 2:4 ფილადელფია**

**ტორონტო 2:3 ფილადელფია**
*0:2 0:0 0:2 0:1*

**0:1 სომიკი (10), 0:2 რენიკი (16), 1:2 პილარჟი (50), 2:2 სუნდინი (56), 2:3 რენიკი (68)**

სასწაული არ მოხდა. „ტორონტო" ბოლომდე ებრძოლა ორგანიზებულ და საათივით აწყობილ „ფილადელფიას", მაგრამ ვერაფერს გახდა და ოცნება, რომ კანადის ერთ-ერთ მთავარ ჰოკეის ქალაქში თასი დაბრუნდებოდა, კვლავ გაქარწყლდა. მეხუთე მატჩში 2:7 განადგურების შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ტორონტო" კვლავ აღდგებოდა და თავიდან თითქოს ასეც ჩანდა. მასპინძლების ორი შეცდომა ფილადელფიურმა მანქანამ ჩინებულად გამოიყენა და 2:0 ანგარიში 50-ე წუთამდე შეინარჩუნა. მაგრამ კანადურმა გუნდმა ფარ-ხმალი არ დაყარა და ბოლომდე იბრძოლა. ცხადია, პარტნიორებს მათს სუნდინი წარუძღვა. მისი პასის შემდეგ ჯერ კარელ პილარჟმ შეაგდო, ხოლო შემდეგ „ტორონტოს" კაპიტანმა თავად გაათანაბრა. ყველა სასწაულს ელოდა. ოვერტაიმში მასპინძლებმა მთელი ძალით შეუტიეს და... მეტოქის მწვავე კონტრშეტევა გამოეპარათ, ჯერემი რენიკმაც ტკბილად შეირგო ეს საჩუქარი.

**დასავლეთი**

**კოლორადო 2:4 სან ხოსე**

**კოლორადო 1:3 სან ხოსე**
*0:0 1:3 0:0*

**0:1 დამფუსი (22), 0:2 გაიჩი (29), 0:3 ჩიჩუ (33), 1:3 შეიდუკი (37)**

ვინ ელოდა, რომ „კოლორადოსთვის" ასე დასრულდებოდა სეზონი. ჩემპიონატის დაწყებამდე „ეველანშმა" ტეემუ სელიანე და პოლ კარია რომ შეიძინა, ყველამ თასის ფავორიტად მიიჩნია. სხვა რომ არაფერი, დენვერელები ორი საოვერტაიმო გამარჯვების შემდეგ ფსიქოლოგიურ უპირატესობას დაეუფლნენ. თან მეექვსე მატჩი თავიანთ მოედანზე ჰქონდათ. ამიტომაც ყველა ფიქრობდა, რომ „კოლორადო" სერიაში აუცილებლად გაათანაბრებდა ანგარიშს. თუმც კალიფორნიულმა კლუბმა ყველას დაუმტკიცა თავისი სიმტკიცე და გადამწყვეტი მატჩი ისე ჩაატარა, როგორც საკუთარ ძალებში დარწმუნებულ გუნდს შეჰფერის. მან მასპინძლებს გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს.



REUTERS ტორონტოდან

ეს-ესაა, ფილადელფიელმა ჯერემი რენიკმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა

ყველა რომ „კოლორადოს" შტურმს ელოდა, პირველი წუთებიდანვე „ზვიგენები" გაბატონდნენ და მასპინძელთა მეკარე დავიდ ებიშერი რომ არა, თამაშის ბედი ბევრად ადრე გაირკვეოდა. მეორე პერიოდში ჯერ ვენსან დამფუსმა იხეირა დამატებაზე, შემდეგ კი გერმანელმა მარსელ გოჩმა ოსტატურად შეუცვალა შაიბას მიმართულება. ხოლო როცა 33-ე წუთზე ჯონატან ჩიჩუმ ორი ეთზე გასვლა ზუსტი დარტყმით დაასრულა, ყველაფერი გაცხადდა.

ამგვარად, „დეტროიტი" — „კოლორადოს" ჯახს ვერ ვნახავთ, დასავლეთში „კალგარი" — „სან ხოსეს" საკონფერენციო ფინალი შეგვრჩა.

„კოლორადოს" მოგება ყოველთვის დიდი მოვლენაა. იმდენად ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ, რომ ეს თითქოს არარეალური ჩანს, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და შემდეგ რაუნდში გავედით" — თქვა „სან ხოსეს" ტრიუმფის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა, მეკარე ევგენი ნაბოკოვმა.

**სამველ ლარიბიანი**

**კონფერენციების ფინალი**

**აღმოსავლეთი**

ტამპა (1) — ფილადელფია (3)

**დასავლეთი**

სან ხოსე (2) — კალგარი (6)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯერ ხიდის ქვეშ

თორმეტი ოცდაორმეტრიანი იახტა კონტად მოლივლივებს ლონდონის ტაუერის ხიდის აზდილი გზის ქვეშ. სწორედ ეს იახტები ჩაებმებიან ოქტომბრიდან განთქმულ გარსაქვეყნო რეისში, რომელიც 30 ათას საზღვაო მილს მოიცავს და პორტსმუთიდან იწყება, ნავსადგურებად კი კეიპტაუნი, სიდნეი, ბოსტონი და ბუენოს აირესი აქვს.



REUTERS ლონდონიდან

## ერთიანი ოკეანია

სუვაში რაგბი მთელი სიცოცხლე და მთავარი რამ არის. ამასობაში კი აი, რა ხდება: ფიჯის, ტონგას და სამოას დარჩეულ მორაგბეთა ერთობლივი გუნდი 3 ივლისს ადელაიდას ოვალზე შეერკინება ავსტრალიის ნაკრებს. რაგბის საერთაშორისო საბჭომ ამ თამაშს ტესტის სტატუსი მიანიჭა. ივლისშივე ოკეანიის ერთიანი გუნდი ახალზელანდიელებსა და სამხრეთაფრიკელებსაც ეთამაშება.



REUTERS



REUTERS ვაშინგტონიდან

## ათენის დასაცავად

ვაშინგტონში კარგა ჭკვიანური თათბირი გაიმართა, სადაც მასაჩუსეტსის გუბერნატორი მიტ რომნი და ლეგენდარული მძლეოსანი კარლ ლუისიც მიიწვიეს. ესენი სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ოლიმპიადის გამოცდილი მუშაკ-ხელმძღვანელნი არიან და ახლაც თურმე იმიტომ თათბირობენ, რომ ათენს, სადაც სწორედ გუშინ ტერორისტებმა სადგური ააფეთქეს, დაცვის ამერიკულ სისტემათა გამოცდილება გაუზიარონ. ათენის ოლიმპიადის მხოლოდ დაცვაზე 350 მილიონი დოლარია გამოყოფილი.



REUTERS

## ქალნი ვიყოთო

კვლავაც ვესტ ინდოეთში მოგზაურობს ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრები და ნაირგვარ ჯადოკუნძულებზე ამარცხებს კიდეც სხვანაირ ინდოთ, ამჯერად ერთდღიანი კრიკეტის სერიაში. ახლა ინგლისელები მზით გემრიელ სენტ ლუსიაზე არიან და იქ ქალურად გადაცმული მხიარული ჯეელებიც ახლავან, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს ბუსეჟურის სტადიონზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge